



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.


**შინაარსი:** პატარა წერილი ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—პოლიტიკური მიმოხილვა.—ჩვენი საზიოზა.—თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.—ასი წლის წინ.—ხმალი და კალამი, ლექსი კატო მიქელაძისა.—სწავლის ნიშნების გამო ი. გ.—რისა.—ქალის ბრძოლა უფლებისათვის (დასასრული) S—n-სა.—„უფულობა“, მოთხრობა ელ. წერეთლისა და განცხადებები.

პატარა წერილი.



პაი ხანია ჩვენში ერთი მეტათ ახირებული აზრი ტრიალებს იმერ-ამერეთის კრებების შესახებ. ვისაც კი ხმა ამოუღია ამ საგანზე მწერლობაში თუ საზოგადოებაში — უთუოთ პირველთა დასამცირებლათ და მეორეა ასამაღლებლათ. კრება ქუთაისში — ეს დაუდგრომელ და ბრძოლის მოტრფიალეთა თავ-ყრილობაა, კრება თფილისში — ეს დარბაისელ და დინჯადამიანთა კრებაა — ამბობენ ისინი. იქ ისმის მხოლოდ ერთი დაუსრულებელი ხმაურობა და აღია-

ქოთი, აქ კი ყოველივე მწყობრათ და წესიერათ მიმდინარეობს, იქ საქმეს ზერელეთ ეკიდებიან, აქ კი დალაგებით და საფუძვლიანათ — გიჩიჩინებენ აქედან იქიდან და ამ ჩიჩინმა თავისი გაიტანა, საზოგადოებასაც მართლა ასე ჰგონია და ამნაირათ აქაურ თავად-აზნაურთა კრებების კრიტიკული აწონ-დაწონვა სამუდამოთ განიდევნა, განიდევნა განსაკუთრებით მწერლობიდან. აქ აღნიშვნენ მხოლოდ იმას თუ რა გადაწყვიტეს — მორჩა და გათავდა და ამასაც ხშირათ, მოგვიანებით, მესამე-მეოთხე დღეს. იმერეთის კრებას კი მთელი თავისი საებო-საგნით გამოსკიმავენ გაზეთის ფურცლებზე და სანამ თითო მუშტს მაინც ყველა არ წაჰკრავს. — არ მოეშვებიან. ერთი სიტყვით, იმერეთის თავად აზნაურთა კრება დაბალი ღობეა და ამიტომ მისი დაჯეკნაც აღვილია, ამერეთის კი ძალიან მაღალია, ისე მაღალი, რომ მისი დაჯეკნა კი არა და უბრალო ხელის შეხებაც ვერავის შეუბედნია. ასე გვასწავლიდენ ეს ში წელიწადია და ასევე ვიმეორებთ დღესაც. ახლა კი დროა, ეს ცრუ



მორწმუნეობა დაირღვეს და ნათელ საქმეს ნათელი სახელი დაერქვას.

ჯერ ერთი ის, რომ ყოველივე კრება აზრთა შეჯახ-შემოჯახებას, თავისუფალ სჯაბაასს მოითხოვს. ხოლო სადაც ეს წარმოებს იქ უთუოთ ხმაურობაც არის. როცა კაცი გატაცებულია რომელიმე საგნით, დაინტერესებულია მისი ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტით, გული შესტკივა მათზე უეჭველათ ის კიდევაც ხმაურობს, კიდევაც ყვირის და საქმეში მხურვალე მონაწილეობას დებულობს. და ეს განა დასაძრახისია? ეს განა კრებისაგან განსაღვენია? და აი, ეს მართლაც უარყოფილია თფილისის თავად-აზნაურთა კრებებზე. აქ პირველ ყოვლისა უმცროს-უფროსობის პრინციპია გამეფებული. ახალ-გაზდა თავისთვის ზის და ხანში შესულთა ლაპარაკს ყურს უგდებს, მისი მოვალეობაა მოიწონოს ის, რასაც ისინი მოიწონებენ და დაიწუნოს ის, რასაც ისინი დაიწუნებენ; ხმის ამოდება, ენის შებრუნება—ეს მისთვის მომაკვდინებელი ცოდვაა. ამისათვის არის, რომ ახალგაზდობა თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს თავად-აზნაურთა საქმეების მოწყობა-მომართვაში. მას უბრძანებენ ეს და ეს თქვი ან გააკეთეო და ისიც მოკრძალებით ასრულებს. არც ერთ კრებაზე მას არავითარი საკუთარი აზრი არ წარმოუდგენია, არასოდეს წინააღმდეგობა არ გაუწევია იმათთვის, ვინც ძველებურათ, ჩვენებურათ აზრობენ და მოქმედებენ. ახალ-გაზდობას ჩვეულებრივ უჭირავს უკანა სკამები, ზოგი, ძალიან გაბედული, ცოტა წინაც წამოცოცდება, მაგრამ ისე კრძალვით და მოწიწებით, რომ მისი საცოდავი გამოხედულობა ძალა-უნებურ შებრალებას იწვევს. ის გულდასმით ისმენს იმას, რასაც წინა სკამებზე მჯდომნი გადასწყვეტენ და ნიშნათ მორჩილებისა თავს დაუქნევს ან და ტაშს დაუკრავს... რასაკვირველია, ასეთ პირობაში რაიმე ოპოზიცია შეუძლებელია. ამას ისე გადაეჩვივნ ორატორებიც, რომ მათი ლაპარაკი ერთი უბრალო ბრძანებაა—ეს ასე უნდა იყოს და არა ისეო—ვინემ საბუთებზე დამყარებული კამათი. კამათი ხომ მოკამათეთა თანასწორობას მოითხოვს, და რადგანაც აქ ასეთი თანასწორობა არ არის—არ არის ამისათვის კამათიც, კამათი პირდაპირი, სწორი და მიუდგომელი. კამათის უფლება აქვს მხოლოდ შექალაქავებულთ, ესენი წამოაყენებენ კითხვას. ესენი ილაპარაკებენ და ბოლოს ესენი გადასჭრიან. ან შეიძლება არჩევანია საჭირო, აი თუნდა ქარვასლის გამგე კომისიისა. დაიძახებს ერთი წინა სკამზე მჯდომი ეს და ეს ავირჩიოთო და მორჩა, ყველა სკამიდან ბანს მისცემენ, ჩინებუღია, ჩინებუღია. ახალგაზდობა აქაც ამ საერთო ოროველაში ერევა

და მით თავისთავათ ქრება. ის არც სხვას ირჩევს და არც მას არჩევენ და, როგორც ჩანს, ამით ძრიელ კმაყოფილია. შექალაქავებულთა სასახელოთ უნდა ითქვას რომ, თუ სადმე რაიმე ოპოზიციის მზგავსი ჩნდება—ეს ისევე იმათ შორის. ერთი-ორი ქალარა ოპოზიციონისტი კრებას არ გამოეღვევა, მარა რა ქნან, როცა მათ მხარს არავინ უჭერს. ახალგაზდები კი აქაც თავჩალუნული სხედან და ნატრობენ შეჯახების დასრულებას. აშკარაა, ახალგაზდები მოხუცებულების როლს თამაშობენ, მოხუცებულები კი ახალგაზდებისას.. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას თუმცა ახალგაზდები ბევრი ჰყავს, მაგრამ ახალგაზდობა კი არა, ამისათვის წოდების მოძველებული ნაწილების განახლება არ წარმოებს, ახალი ძალა არსათ ჩქეფს და რაღა გასაკვირველია მათი კრებებიც უფერული იყოს...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ამ თვის 23 ქალაქის სულით-საავათმყოფოში გარდაიცვალა დიდი ხნის ავათმყოფობის შემდეგ ქართული სცენის არტისტი ბარბარე ავალიშვილის ქალი. ის ქართულ სცენას ემსახურებოდა 1870 წლიდან და ამ ხელობას არ მოსცილებია სრულიად დასნეულებამდის. ეს ორი წელია განსვენებული ქკუაზე შემცდარიყო და ამ ყოფაში დალია სული. მისი დაკრძალვა, რომელიც მოხდება დღეს. კვირას (დღის 10 ს.), იტვირთა დრამატ საზოგ. გამგეობამ.

ამ თვის 22 მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თფილისის ქართული თეატრის სუფლიორი ნ. ვალუსტოვი. ვალუსტოვი თეატრს ემსახურებოდა 1882 წლიდან და თითქმის უკანასკნელ კვირამდე სცენას არ მოსცილებია. ყველაზე უფრო ძნელი საქმე თეატრში სწორეთ რიგიანი სუფლიორობაა, მასზე დამოკიდებულია მთელი წარმოდგენის—ასე თუ ისე წაყვანა და ეს განსაკუთრებით ჩვენში, სადაც არტისტებმა მულამ არ იციან თავისი როლები. და აი, ამძნელ ხელობას ასრულებდა ვალუსტოვი 18 წლის განმავლობაში და ასრულებდა სინიღისიერათ. ამ ხელობამ კიდევაც დაავათმყოფა ოგი, რის გამო ის წელს ამ საქმეს დაეთხოვა და სცენარიუსობას მოჰკიდა ხელი. არტისტებს ისე გაუჭირდათ საქმე, რომ ხელ-ახლა მას თხოვეს ხანდა-ხან მაინც ესუფლიორებია და ამ ავათმყოფმა კიდევაც ერთხელ და უკანასკნელათ გასწია სუფლიორობა და მას მერე აღარც ამდგარა ლოგინიდან. დრამატიულმა კომიტეტმა გადასწყვიტა მიეღო ყოველი ღონე მის მოსარჩენათ, მაგრამ ეს ზრუნვა მეტი შეიქმნა. მისი დამარხვა და დარჩენილ პატარა ქალი-შვილზე ზრუნვა იტვირთა დრამატიულმა კომიტეტმა. განსვენებული გუშინ დღით დაკრძალეს.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტია ქუთაისის საკვირაო სკოლას მიეცეს 300 მ. შემწეობა. ეს ძლიერ კარგი, მაგრამ ვაი თუ ესეც ისე ყინულზე დარჩეს დაწერილი, როგორც გასული წლის გადაწყვეტილება იმავე სკოლის შესახებ.



ქუთაისის ქალაქის საბჭოს უკვე განუხილავს და დაუმტკიცებია გამგეობის მიერ შედგენილი ქალაქის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. სხვათა შორის ამ ხარჯთ-აღრიცხვით ქალაქს შემოსავალი ექნება: დაფასების გარდასახადისა — 41,657 მან. 80 კაპ., ქალაქის ხიდების შემოსავალი — 16,200 მან., ქალაქის თეატრისა — 5,070 მან., რესტორანებისა და ტრაქტირებისა — 4,825 მან., საყასბოსი — 10,840 მან., ნავთის ვაჭრობისა — 12,000 მან., სამრეწველო მოწოდებებისა — 3,560 მანეთი და სხვა.



ძველ სენაკის სათავად-ახნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ, ნება მოგვეცით დავაარსოთ საკვირაო სკოლა და გაემართოთ სახალხო კითხვებიო.



გურია-მეგრელიის ეპისკოპოზი ალექსანდრეს გამოუცია ბრძანება, ბლალოჩინებს ნულარ მისცემთ იმ 200 მ. რომელიც მის სასარგებლოა გროვდება ყოველ წელს მის საბლალოჩინო ეკლესიებიდან და ღვდლებიდან. ამასთანავე ბლალოჩინთათვის უბრძანებია, დაუბრკოლებლივ მიეცეს სასულიერო პირთ მოწოდებები ხაზინიდან ჯამაგირის მისაღებათა.



წერა-კითხვის საზოგადოების მდივნათ, ნაცვლათ აღ. მიქაბერიძისა, რომელმაც თავი დაანება ამ თანამდებობას, არჩეულ იქმნა ბ. პეტრე მირიანიშვილი.



როგორც კახელ მევენახეთა საზოგადოების გასული წლის ანგარიშიდან ჩანს, ამხანაგობას სულ 86 წევრი ჰყოლია. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონია თფილისში — 72,660 ვედრა ღვინო, ბაქოში — 5,825 ვედრა, მოსკოვში — 2,814 ვ., აქედან გაუყიდნია თფილისში — 35,058 ვ., ბაქოში — 4,664 ვ. და მოსკოვში — 1,430 ვედრა. ხარჯი ჰქონია საზოგადოებას სულ 41,564 მ. 94 კ. წმინდა მოგება დარჩენია 4312 მ.

„კეალის“ კორესპონდენციები

**ს.** ფარცხმა ეკუთვნის ოზურგეთის მაზრას. ამ სოფელს აღმოსავლეთით საზღვრავს ს. საჯავახო, დასავლეთით მდინარე სუფსა, სამხრეთით ს. ციხე და ჩრდილოეთით ს. ამაღლება. ეს სოფელი უმეტესათ წარმოადგენს ვაკე ადგილს. ჩვენდა საუბედურთ აქაური მიწა იმდენათ უნაყოფოა, რომ იშვიათია რომელიმე გლეხთაგანმა სამყოფი სარჩო მოიმუშაოს თავის საკუთარ მამულში. ამიტომ აქაური გლეხები აუცილებენ საჭიროებათ რაცხვენ იჯარით ან ისე სამუშევრათ აიღონ მიწა კერძო ზირებისაგან და მით დაიკმაყოფილონ უმთავრესი საოჯახო მოთხოვნილება. გარდა მიწის მუშაობისა აქაური მცხოვრებნი ეტანებიან მეღვინეობას, მაგრამ ძალიან ნაკლებ იტანს ვაზის მოვლა და გაშენება, გარდა ამისა აქ ისეთი ქარი იცის, რომ არამც თუ ურძენი შეარჩინოს ხეზე არამედ ხანდისხან ხესაც ძირიანათ თხრის. შეაბრეშუმეობა კი აქ ძლიერ გავრცელებულია, ასე რომ ეს ერთთ ერთი ხელობაა აქაურ მცხოვრებთათვის სახელმწიფო — თუ სხვა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ეს სოფელი თუმცა დარბია, მაგრამ მაინც დიდათ არ ჩამორჩება უკან მასობულ სოფლებს, აქ კარგა ხანია რაც სამინისტრო სკოლას დაასრულები. გასულ წელს კი აქაურმა მცხოვრებლებმა დაადგინეს „ზრიგოფარი“ ორკლასიანი სკოლის განსნის შესახებ და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლათ. წელს მიიღეს ნება-რთვა და ამოარჩიეს სსმი ზირი, რომლებმაც უნდა იზრუნონ სკოლის დარბაზის აშენებისთვის, ჯერ-ჯერობით კი რამდენიმე შეკირდი მათავსეს სოფლის სსსამართლოს დარბაზში (მიწა რომელზედაც ეს დარბაზი დგას დიდი ხანა არ არის რაც იუიდა სოფელმა თ. ნ. ერისთავისაგან), დანარჩენი კი ისევ ძველ სკოლაშია; სოფლის სსსამართლოსთვის დროებით დაიქირავეს სხვა დარბაზი... ამავე სოფლის ახლო მდებარეობას დაბა ჩოხატაური, რომელიც შედგება 60 — 65 დუქნისაგან. რაც დრო მიდის ეს დაბა თან-და-თან იზრდება და ღამისდება. ხუთი-ექვსი წლის წინეთ აქ ხეირიან ხის დუქანს ვერ ნახავდით და ახლა კი არამც თუ კარგ ხის დუქანებს, არამედ შეწინებრათ ევროპულ გემოზე აშენებულ ქვისსაც ნახავთ. წინეთ თუ აქ 3 — 4 ფართლის დუქანი იყო, ესლა ათი თუ თერთმეტი, ცხრა ათი თუ სწავრილმანო იყო — ახლა ოცდა ერთი თუ ოცდა ორია. აქედან შეგვიძლია გამოვიფხანოთ ის დასკვნა თუ რამდენათ კარგი ვაჭრობა აქეთ აქაურ ვაჭრებს.

ეს უველაფერი კარგი, მაგრამ სირცხვილი კია, რომ ჩოხატაურლებს ერთი ხეირიანი წიგნთ-საცავი არა აქვთ. 1895 წ. ბ. კ. შკელაძის თაოსნობით დააარსეს აქაურმა ვაჭრებმა წიგნთ-საცავი, რომელშიაც გარდა ქართულ ყურნალ-გაზეთებისა იქერენ სამ რუსულს —

სსხუდლობ: „Кавказь“-ს „Черноморскій Вѣстникъ“-ს და „Новое обозрѣніе“-ს. წიგნებს კი ეს წიგნთ-საცავი დიდად მოკლებულია. ეს უველასათვის აშკარაა, რომ თვით განხილვებაც არ შეიძლება ადამიანმა მიიღოს მარტო ჟურნალ-გაზეთებიდან. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთის წიგნთ-საცავს ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამს წინ. თუ აქაურმა საზოგადოებამ რამე სსხუალებს არ აღმოუჩინოს ამ წიგნთ-საცავს უეჭველია მალე ჩაეძინება და მერმეთ გაიღვიძებს კი?—

ი. მკვრილიშვილი.

ბ. აბაძა (სენაკის მზრდა). ეს სოფელი ესტა ძლიერ ჩამორჩენილია სხვა მეზობელ სოფლებზე სწავლა-განათლებით და ყოველივე წეს-წესობილებით. რამდენიმე წლის წინეთ კი ეს სოფელი ისე წინ მიდიოდა, რომ სხვა სოფლები შენატრდნენ. ყოველი საქველ მოქმედო საქმის მაგალითი აქედან გადაჭყონდათ, მაგრამ ახლა იმ ახლო მხლო სოფლებმა, რომლებსათვის აბაძა იყო მაგალითი, წინ გასწრეს, სწრაფლ შეიგნეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა, ურთიერთობა, საზოგადო საქმობაში ერთგულობა და ბაძავენ სხვა წარმატებულ სოფლებს. აბაძას კი, ოდესმე გაღვიძებულს და სხელ მოხუჭილს, ახლა ჩისძინებია. აქაურ მკვიდრს საზოგადო საქმე, სოფლის წინ წაწვეა და გაუმჯობესობა აინუნშიაც არ მოსდას. რაც ცხნებულ მამა-ბაბას უანდებობა იმის გაუმჯობესობაზე არავინ ზრუნავს, არავინ ზრუნავს იქ, სადაც უმეტესობას შეადგენს ნასწავლი შეგნებული აზნაურები და შემძლე გლეხება. არც ერთ მეზობელ სოფელს არ ჰყავს იმდენი ნასწავლი და მადალი თაობა რამდენიც აბაძას, მაგრამ აბაძის საკეთილდღეოთ საზოგადო საქმის სიყვარული და ინტერესი არც ერთს არა აქვს. უმეტესი ნაწილი აქაური მცხოვრებისა ფიქრბს როგორმე თავის მეზობელი, ძმა, ამხანაგი და ჩაკროს, ხელი შეუშალოს, ოდონდ თვითონ კი ჯაბე გაისქელას. აქ მეტათ განშირებულია „შენ-ჩემობა“, რომელიც საზოგადო საქმიანობას, სოფლის საქმეების გაუმჯობესობას ხელს უშლის. „შენ ჩემობა და ზარტიობა“ გამხდარა მიზეზი აქაური სასოფლო სასამართლოს ტანჯვა-წვალებისა, რომელიც ყოველ წელიწადს და ხან უფრო ადრე გადასქვთ და გადმოასქვთ ერთი ადგილიდან მეორეში! თითოეულს სურს სკოლა და „კანცელარია“ თავისი კარის წინ ჰქონდეს, რის მიზეზითაც რამდენჯერმე ცეცხლმაც კი იმსხვერპლა „კანცელარია“. ასეთივე ტანჯვა-წვალების მომდინარე იყო აქაური ახლათ დაარსებულ სამინისტრო სკოლის შენობაც.

ხუ თუ აბაძას არ ჰყავს ერთი ხეირანი მოთავე, რომ სოფელი დაამშვიდოს, აუხსნას სწავლა-განათლების მნიშვნელობა, გაუმჯობესოს სკოლა; დაარსოს სახლხო სამკითხველო-წიგნთ-საცავი და მიჭაძოს სხვა დაწინაურებულ სოფელს? იკითხავს მკითხველი! ზასუხს მიიღებთ:

როგორ არა, აბაძაში მოთავე ბევრია, მაგრამ ვიმეორებ, რომ საზოგადო საქმისთვის აბაძის საკეთილდღეობა არც ერთი არ იწუხებს თავს, რადგანაც კერძო სარგებლობას არ ხედავს.

აქ წელს მოსავალი შარშანდელზე შედარებით ძლიერ ნაკლებია, რადგანაც ხშირმა წვიმებმა წახდინა. მახლობელი დაბებიდან აქ დაიარებიან მეწვრიმალე ურები და ვიდულობენ კვერცხს და ყოველხნაირ შინაურ ფრინველს, რომლებიც ისე გააჭვირეს, რომ ვიდვა შეუძლებელია; ფულიც რომ გააკზანონ კვერცხის ან ქათმის საყიდლათ ვერ იშოვიოთ.

იანტე.

ბოლიტიკური მიმოხილვა

ზასული კვირის პოლიტიკურ ამბებთა შორის საყურადღებოა ტრანსვაალის პრეზიდენტის, კრიუგერის, მოგზაურობა ევროპაში. მისი მიზანია რამე ნაირათ გამოიწვიოს საერთო სიმპატია და მოიმხროს ზოგი სახელმწიფოები ინგლის-ტრანსვაალს შორის სამედიატორო სამართლის დასანიშნავათ. რაც შეეხება პირველ მიზანს—მან თითქმის კიდევაც მიაღწია. ხალხთა თანაგრძობა ბურებისამდმი გამოიხატა იმ აუარებელ მანიფესტაციებში და „გაუმარჯოს კრიუგერს“ ძახილში, რომელიც პრეზიდენტს წილათ ხვდა ყველგან სადაც კი ფეხი დაადგა. მას დიდი აღტაცებით დაუხვდნ მარსელში, ლიონში, პარიჟში, ბრიუსელში და სხ. ამ აღტაცებაში ყველაზე მეტათ თავი გამოიჩინეს ფრანგებმა, ყველაზე ნაკლებ გერმანელებმა, იმ გერმანელებმა, რომლებსაც კრიუგერი აქამდის თავის ბუნებრივ მოკავშირეთ თვლიდა. ასეა თუ ისე, უბრალო თანაგრძობა და ქება-დიდების სიტყვები კრიუგერს ყველგან ბევრი დახვდა. მაგრამ მთავრობის პოლიტიკას ხალხი არ აწარმოებს. სახელმწიფოთა ხელშეკრულობას, ტრაქტატებს და სხ. ასეთებს აღგენენ მთავრობები. ხოლო ამათი მომხრობა კი ძლიერ გაუჭირდა კრიუგერს. გერმანიის იმპერატორმა კრიუგერს აგრძობინა, რომ ბერლინშინუ მოდიხარ, ვერ მიგიღებო. რის გამო პრეზიდენტმა თავისი გზის მარშრუტი შეცვალა. საფრანგეთის პრეზიდენტმა მართალია ინახულა, მარა ეს უფრო ზრდილობის დასამტკიცებლათ, ვინემ რაიმე პოლიტიკაში დასახმარებლათ. ამისათვის მოსალოდნელია კრიუგერმა ისევ პატარა სახელმწიფოთ, როგორც მაგ. შვეიცარია, მიმართოს შუამდგომლობის გასაწევათ ინგლისთან.—ჩინეთში კიდევ ყოველივე ისე არის, როგორც წინეთ იყო. მხოლოთ ახლა თანდათან მყლავნდება ის, თუ რო-

გორ შეუბრალებლათ იქცევიან სახელმწიფოთა ჯარები ამ ქვეყანაში. გერმანიის ჯარის კაცთა მიერ მოწერილმა წერილებმა ამის შესახებ ალაპარაკა მთელი ქვეყანა. ერთი ამ წერილთაგანი ამას წინეთ ბებელმა წაიკითხა რეინსტაგში და მთავრობას მოთხოვა პასუხის მგებლობა. აი ეს წერილიც: „შენ ვერ წარმოიდგენ იმას, თუ რა ხდება აქ, სწერს სალდათი პეკინიდან თავის სახლობას. ეს ომი კი არა, ეს ერთმანეთის ელექტაა. როცა ჩვენ მოვიგეთ პირველი ომი, უნდა გვეურებია რა ამბით შევედით ქალაქში: მამა-კაცი, დედა-კაცი, ბავში — ყველა ვინც კი გზაზე შეგვხვდებოდა იფლიტებოდა, როგორ დრტვინავდნენ და კვნესოდნენ ქალები! მაგრამ რა გვექნა, ბრძანება იყო, იყავით შეუბრალებელიო. ჩვენ დავგაფიცეს უფროსის მორჩილებაზე და ფიცს ვერ გავტყებთ...“ აი როგორ „ანათლებენ“ ჩინელებს განათლებულნი!


## ჩვენი სახიობა.

ესეც ერთი რუსული პიესა! 25 ამ თვეს ქალ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი ნ მოქმ. დრამა „კაეშანი“ ნამდვილი რუსულია, არა იმით რომ ის რუსულიდან არის ნათარგმნი, არამედ შიგ გამოყვანილი ხალხით და ზნე-ჩვეულებებით. ამ გვარ მომქმედ პირებს, მეტადრე ქალებს, ვერც ერთ სხვა პიესაში ვერ ნახავთ. „კაეშანს“ შინაარსი თითქმის არა აქვს, ის ერთი პსიხოლოგიური დრამაა, მზგავსი დიუმას ზოგი ერთ დრამებისა, იმ განსხვავებით, რომ „კაეშანის“ დრამა მხოლოდ ერთი პირის დრამაა, დანარჩენნი კი იმიტომ არიან გამოყვანილი პიესაში, რომ ამ ერთი კაცის უბედურობას ხელი შეუწყონ და თვითონ კი შიგ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ. დიუმას დრამაში თითქმის ყველა მომქმედი პირები დრამატიულ მდგომარეობაშია და ყველა ერთათ ერთ საერთო დრამას ჰქმნიან. აქ კი ყველა მხიარულათ არის, გარდა ერთისა, რომელშიაც მოთავსებულია მთელი „კაეშანი“. ეს პირია ფორტუნატ ფეიმიჩ ნედხლაევი (ვლ. მესხიშვილი), ვაჭრობით გამდიდრებული, რომელმაც სიბერის დროს შეერთო ახალგაზდა ქალი მარია ილინიშნა (კარგარეთელი). რასაკვირველიაა მარია მას არ შეიყვარებდა და განზე მონახავდა საყვარელს, ამ შემთხვევაში პავლე რუმეჩნიკოვს (სვიმონიძე), ლამაზ, ახალგაზდა კურს დასრულებულ ყმაწვილ-კაცს, რომელიც ცხოვრობს გამზდელისას, რევიანიკისას (გედევანოვი). აი ესენია

ამ პიესის მიუცილებელი მომქმედი და სხვები რომ არ გამოეყვანა ავტორს პიესა თუ მოიგებდა თვარა არ წააგებდა. დანარჩენ პირებთა შორის შესანიშნავია ნედხლაევის და (ჩერქეზიშვილისა), თმა-შეკრეკილი, მოკლე კაბით, ცხვირზე სათვალეებით და პირში პაპიროზით, ცხოვრობს ძმისას. ის გარეგნობით ჰგავს ძველებურ „კურსისტკას“. გამოყვანილია კიდევ რამდენიმე პირი ზოგი მსახურათ და ზოგი რათ. ამ პიესის მთელი დრამა იმაშია, რომ ნედხლაევი ექვს იღებს თავის ცოლზე და ამით იტანჯება, თითქმის გიფდება და ამავე დროს ვერაფერი უთქვამს ვერც ცოლისთვის და ვერც სხვისთვის. ის ნათლათ ჰხედავს თავის ნაკლულევანებას, თავის სიუშნოეს და მიუზიდველობას, იცის რომ მას მარიასთანა ქალი ვერ შეიყვარებს და იმავე დროს სულით და გულით უყვარს მარია და სურს მარიასაც უყვარდეს. მარია კი პირ-იქით დასცინის, ამაყათ ეპყრობა და პირველ გაცნობისთანავე ვილაც კაცს ყელზე ეხვევა, მიყვარხარო, რუმეჩნიკოვი ქუჩაში გაიცნო და მაშინვე შეიყვარა, თუ კი ამას სიყვარული შეიძლება დაეარქვათ. და აი, ამ დღიდან იწყება ნედხლაევის სულის მღელვარება და ეს მთელ ხუთ მოქმედებაშია გადაშლილი და თავდება იმით, რომ ქმარი რწმუნდება თავის ექვებში და ნიშნობის ბეჭედს რემუჩნიკავს აძლევს, ეს შენ უფრო შეგშვენის ვინემ მეო. ეს სულიერი მღელვარება სწორეთ სამაგალითოთ დაგვიხატა ბ. მესხიშვილმა. მისი ერთი ფეხის გადადგმა, ერთი თითის გაქნევა საესებით გვაცნობებდა იმ ჯოჯოხეთურ მდგომარეობას, რომელშიაც ნოდხლაევი იყო ჩავარდნილი. ის უსიტყვოთ, სახის გაამეტყველებით ნათლათ გვეუბნებოდა იმას, რასაც მთელი ტომი დაწერილისა ვერ გვეუბნება. ასეთი როლი ნამდვილი სამესხივეო როლია, მას აქ ლაპარაკი ცოტა სჭირია, გრძნობათა დღევა ენის მობრუნებას არ ანებებენ და ასე ეს საცოდავი ადამიანი იტანჯება და იტანჯება. ის სრულ თანაგრძნობას იწვევს მაყურებელში, გავიწყდება ყველა ის, რა ოინებითაც მას სიმდიდრე ხელთ ჩაუდგია, გავიწყდება ის, თუ რამდენი ოჯახი ატირებულა მისი ჩარჩობის წყალობით — ერთი სიტყვით ყველა მის სისაძაგლეს ივიწყებ და სწყევლი იმ ქალს, რომელმაც მას ამოდენი სულიერი მწუხარება მიაყენა, სწყევლი თვით საყვარელს, რომლის გულისათვის ეს ქალი ასე აწვალებს ამ ულონო ქმარს და ახარებს ვილაც მაწანწალას. და ყველა ამას იმიტომ შვრებით, რომ ნედხლაევას როლში მესხივეს ხედავთ. მიეცით ეს როლი სხვა მდარე არტისტს და თქვენ არა თუ თანაუგრძნობთ ნედხლაევს, არამედ კიდევაც ეტყვიით:

ახია შენზე, ასე გვეკადრებაო. საზოგადოთ, ამ პიკის მამა-კაცები სიმპატიურათ არის დახატული. თვით მარიას საყვარელიც კი პატიოსან კაცს ჰგავს და თუ ასე მოუწამლა სიცოცხლე ნედისლავეს — ეს იმიტომ, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ხელი ვერ ჰკრა იმ ქალს, რომელიც მას სიყვარულს თხოვდა. სამაგიეროთ ქალები ძალიან ანტიპატიური არიან. ცოლი ისე უსირცხვილოთ ატყუენ ქმარს, ისე აშკარათ ფარისევლობს, ისე ესაყვარლება შეძლებულ ქმარს თვალის ასახნევით, რომ მაყურებელში ერთ დაუსრულებელ ზიზღს იწვევს. ფიქრობ ნუ თუ ასეთია ქალის ბუნება და გულს იმშვიდებ, რომ ეს მარია ილინიშნას ბუნებაა და არა საზოგადოთ ყველასი. მეორე მხრით, ეს ვითომ და „კურსისტკა“, ნედისლავის და, ისეთი უტიფარი, მოურიდებელი და ძმის მოღალატეა, რომ კითხულობ: ნუ თუ ასეთი იყვენ რუსეთის მაღალი სასწავლებლის მოსწავლე ქალებიო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქ გამოყვანილი „კურსისტკა“ კარიკატურაა კურსისტებზე და არა სინამდვილე. ეს ქალი კი არა ქაჯია და არა გგონია მაღალი კურსები საქაჯეთი იყოს. და სწორეთ ასე ქაჯურათაც შეასრულა ეს როლი ქალ. ჩერქეზიშვილისამ. ერთათ ერთი სიმპატიური ქალი აქ რევიაკინის გაზდილი, სიყვარულში მოტყუებული პოლენკაა, რომლის როლი ქ. მდივანმა ძალიან უფერულათ ჩაატარა. სვიმონიძეს არა უშავდა პავლეს როლში. საზოგადოთ, ეს არტიტი წელს გაცილებით უფრო კარგათ თამაშობს, ვინემ წინა წლებში. ეს გაუმჯობესობა მეტათ სასიამოვნოა. გედევანოვს არა უშავდა რა რუსის ფოსტალიონის როლში, მაგრამ ძალიან ყვიროდა კი.

ბოლოს, წარმოადგინეს „მათიკოს“ მესამე მოქმედება ვ. ავაშიძის მონაწილეობით, რამაც ერთობ მხიარულათ ჩაიარა. საზოგადოება ბევრი დაესწრო. მობენეფისე და ვლ. მესხიშვილი ხანგრძლივი „ვაშათი“ დაჯილდოვეს.



თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება.


დმ თვის 21 თფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება გუბერნიის მარშლის, თ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. კრების საგანი იყო განხილვა და დამტკიცება რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულის პროექტისა. რომელიც შეიმუშავა განსაკუთრებით — სადღესასწაულო კომისიამ. პროექტი მდგომარეობს შემდეგში:

- 1) ამოირჩეს 20 თავად-აზნაური და მიენდოს მათ პეტერბურგში პანაშვიდის გადახდა და გვირგვინების დადება ხელმწიფეთა საფლავებზე: პავლე I, ალექსანდრე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II და ალექსანდრე III.
- 2) შეგროვდეს ხელისმომწერათ ფული შეერთების სახსოვრათ ძაგლის დასადგმელათ;
- 3) გაიმართოს სახალხო დღესასწაული იმ დღეს, როცა პირველათ საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარები;
- 4) გაუმასპინძლდენ ჯარებს და მცხოვრებთა ერთ ნაწილს;
- 5) გაიმართოს უფასო წარმოდგენები;
- 6) დაარსებულ იქმნას ოთხი სტიპენდია იმ ოთხი პოლკის სახელზე, რომლებიც პირველათ შემოვიდნენ საქართველოში, რისთვისაც საჭიროა 1800 მან. წელიწადში, რაიცა გაღებულ უნდა იქნას სათ. აზნ. ქარვასლის შემოსავლიდან. და სხ.

ამ პროექტის მხოლოთ უკანასკნელმა მუხლმა გამოიწვია კამათი. სიღნაღის მაზრის წინამძღოლმა თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა ითხოვა ეს მუხლი სულ მოიშალოს პროექტიდან, რადგანაც ამის შესაფერი თანხა არა გვაქვსო.

ან. ფურძეჯაძე. ჩემი აზრით, ამ კითხვის გადაწყვეტის უფლება არც კი გვაქვს დღეს ჩვენ. ფულის გაღება დაკავშირებულია ქარვასლასთან, ხოლო ქარვასლის პატრონები ერთობ ბევრია, აქ კი ცოტა შევიკრიბებით. რომ წინდაწინ გამოცხადებულიყო ქარვასლის შემოსავალზე იქნება სჯა-ბაასიო — უეჭველია ბევრი მოვიდოდა და მონაწილეობას მიიღებდა. ეს არ ყოფილა გამოცხადებული, და ამიტომ ამ კითხვის გადაჭრის უფლება არა გვაქვს. გარდა ამისა, სტიპენდიების წყაროთ ქარვასლის აღიარება შეავიწროვებს ჩვენს უფლებას ამ შენობაზე. ჩვენ მარტო კი არ ვიქნებით მისი პატრონი, არამედ სხვებიც, და დაგირავების ან გადაკეთების დროს ხელშეკრულნი ვიქნებით. მაგ. ჩვენი ბანკის წესდებით დაგირავება შეგვიძლია მხოლოთ ისეთი მამულის, რომელთაც არავითარი გარეშე ვალდებულება არ აწვეს. ასე რომ თუ პროექტი მივიღეთ, ქარვასლას ვეღარ მივიღებთ გირაოთ. ჩემი აზრით, უკეთესია ამ სტიპენდიების თანხის მოგროვება განაწილდეს თავად-აზნაურობაზე და ასე კერძოთ მოიკრიბოს.

თ. ი. გ. ამილახვარი. კერძო შეწირულობით კი არ გვინდა დაუვიწყარათ ვყოთ 4 პოლკის ჩვენში ჩამოსვლა, ჩვენ გვინდა მთელმა თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ, მიიღოს ამაში მონაწილეობა და საერთო თანხიდან ფული გადადვას. თ. ესტატე თანხისიშვილი. თუ კი ქარვასლის შემოსავლიდან ათასნაირ უსარგებლო საქმეებზე იხარჯება ფულები, რატომ ასეთ დიდათ სასარგე-



ბლოსაქმისთვის, როგორც პოლკების სტიპენდიებია, არ შეიძლება დაეხარჯოთ? ჩემი აზრით, 4 კი არა დაათი სტიპენდიაც, რომ დავაარსოთ იმ პოლკებისათვის კარგი იქნება.

თ. ვ. მახაბული. მე წინააღმდეგი არ ვარ სტიპენდიების დაარსებისა. მაგრამ გაწვდება კი ყველფერს ქარვასლა? მას მივუჩინეთ ბევრი საჭიროება დასაკმაყოფილებლათ და ჯერ ეს შევასრულებით.

მ. მახაბული. მე მომხრე ვარ არა მარტო სტიპენდიებისა, არამედ იმ ფულის გაღებისაც, რასაც გეთხოვს კომისია. ამაზე უფრო საიმედო თანხას ჩვენ ვერ მოვნახავთ.

ვლ. გელეჯანოვი. სტიპენდიების დასაარსებლათ კანონი თხოულობს ისეთ თანხას, რომლის პროცენტები დააკმაყოფილებს სტიპენდიებს. ჩვენ კი ასეთი თანხა არა გვაქვს. 1800 მ. სტიპენდიას დასჭირდება 45 ათასი მ. თანხა. სანამ ამას არ წარვადგენთ მანამ მთავრობა არ დაგვიმტკიცებს პროექტს.

თ. ალ. ჩოლაყაშვილი. მე სრულებით არ ვეთანხმები ბ. ფურცელაძეს იმაში, რომ ვითომ ქარვასლაში სხვებიც ჩაგვეზიარებოან, თუ სამუდამო სტიპენდიები დავაარსეთ. ჩვენ მაშინაც ასეთი პატრონი ვიქნებით ამ შენობის, როგორც ახლა ვართ. ჩვენ უეჭველათ უნდა მივიღოთ კომისიის პროექტი.

თ. ნ. დ. ანდრეასიანი. თ. ჩოლაყაშვილის აზრით, შეიძლება საუკუნო სავალდებულო გადასახადი დავადვით ქარვასლას, ეს ასე არ შეიძლება. შენობა ჩვენ, აქ მყოფთ, მარტო არ გვეკუთვნის, სანამ ერთი მეპატრონე წინააღმდეგი იქნება ასეთი გადასახადის დადებისა, მანამდის ეს გადასახადი ძალაში არ შევა.

თ. ა. თ. მუხრანსკი. მე, როგორც ქარვასლის გამგე, მოგახსენებთ, რომ წელიწადში არა თუ 1800 მ. გაღება, არამედ 5 ათასის და მეტიცაც კი შეგვიძლია ამ საქმისთვის. ქარვასლას დიდი შემოსავალი აქვს, ისეთი დიდი რომ წელს მაგ. 30 ათასი მან. ტყუილ უბრალოთ გადაადგეს თეატრის შესაკეთებლათ, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და მიუხედავად ამისა, ქარვასლის მდგომარეობა არ შეცვლილა. მე ფიქრობ უკეთესი იქნება ქარვასლის შემოსავლიდან ყოველ წლივ გადავდვით ხუთი ათასი და მეტიც ისეთი თანხის შესადგენათ, რომელიც 1800 მ. პროცენტს მოგვცემს და ამით ის 4 სტიპენდია საუკუნოთ უზრუნველყოთ.

თ. დ. გურამიშვილი. მე სრულიად ვეთანხმები თ. მუხრანსკის, ეს უმჯობესი იქნება, თვარა ყო-


ველ წლიურმა სამუდამო გადასახადმა შეიძლება მართლაც შეზღუდოს ჩვენი უფლება ქარვასლაზე.

შემდეგ კიდევ ილაპარაკეს რამოდენიმემ და ბოლოს, კრებამ, წინააღმდეგ ერთი ხმისა, მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული მთელი პროექტი. ამ პროექტის სისრულეში მოყვანა, სადღესასწაულო ხარჯებისათვის ფულის მოკრება და სხ. მიანდო კომისიას, რომლის წევრებთ ამოარჩიეს შემდეგნი პირნი: თ. ილია ჭავჭავაძე, ინფანტერის გენერალი თ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ადიუტანტი თ. ზ. ჭავჭავაძე, გენერალ-ლეიტენანტი თ. მ. ამირეჯიბი, გენერალ-მაიორი თ. ი. ს. ჭავჭავაძე, გენერალ-მაიორი თ. ბ. ჩოლაყაშვილი, გენერალ-მაიორი ქრ. მამაციშვილი, პოლკოვნიკი თ. ა. თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, გენერალ-მაიორი თ. ა. ბებუთოვი, გენერალ-მაიორი თ. ხიმშიაშვილი, გენერალ-მაიორი ჩოლაყაევი, თ. ნ. ვ. არლუთინსკი-დოლოგორუკოვი, თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, თ. ი. გ. ბარათაშვილი, მ. ვ. მახაბელი, ი. გ. თულაშვილი, თ. ლ. ჯანდიერი, და თ. ვ. მახაბელი და თფილისის გუბერნიის და მაზრების თავად აზნაურთა წინამძღოლნი.

დასასრულ მადლობა გამოუცხადეს პროექტის შემმუშავებელ კომისიის თავმჯდომარეს ინფანტერის გენერალს თ. ამილახვარს ასეთი შრომის გაწვეისათვის და კრებაც დაიხურა.

ასი წლის წინამ.

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ 21 ამ თვეს, წინააღმდეგ ერთი ხმისა, გადაწყვიტა საკუთარი საშუალებით დაარსდეს ოთხი სამი-დღეშია სტიპენდია სსსარგებლათ იმ ოთხი რუსის ზოგისა, რომელიც ამ ასი წლის უკან ზირველათ შემოვიდა საქართველოში. ამისათვის ურიგო არ იქნება რაიმე ცნობა მოვიყვანო ამ ზოგების შესახებ. მეუფე ირაკლი მეორის თხოვნით რუსეთიდან თფილისში ჩამოვიდა ჯარი. მაგრამ რადგანაც იმპერატორი ზაფლუ წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ამისათვის ბრძანება გასცა, რუსის ჯარი გასულიყო საქართველოდან, რაიცა სისრულეში იქმნა მოყვანილი. ირაკლის ელჩმა თ. კარსევან ჭავჭავაძემ ზირდაზირ მიმართა ხელმწიფეს და თხოვა ჯარები უკანვე დაებრუნებია. ირაკლი მეუფე კარდაიტვალა 11 ახვარს 1797 წ., ხოლო 26 ნოემბერს 1798 წ. ხელმწიფის ბრძანებით თფილისში შემოვიდა მთელი ზოგეი რუსის ჯართა გენერალი ლაზარევის ჩაგდებით. ამ ზოგეს დაეკრეა თფილისის ზოგეი. ლაზარევი და-



ბანაკად აქ. ამ ხნის განმავლობაში მიწერ-მწერა იყო შეერთების შესახებ და მეფე გიორგის სიკვდილს შემდეგ 1801 წ. აზრდში თფილისში მოვიდა მეორე ზოლი ტუჩკოვის უფროსობით. ამ ზოლს ეწოდება გრენადერთა ზოლი. მას მოჰყვა იმავე წელს კიდევ ორი ახალი ზოლი, რომელთაც ეწოდებოდა უბარდის და მე-17 ეგერთა ზოლი. ამ რიგით 1801 წლის გასულს საქართველოში დაბანაკდა რუსეთის ოთხი ზოლი. იმავე წელს დაიწყო კახეთის აჯანყება ახალი წყობილობის წინააღმდეგ, ამისათვის საჭირო შეიქმნა ზოლების დანაწილება და სხვა-და-სხვა ალაკას ჩაყენება. შთავარ-სარდლის დაზარების აღწერით აი სად რამდენი ჯარი ყოფილა ჩაყენებული.

კავკასიის გრენადერთა პოლი: თფილისში (ექვსი რატი), გორში (2 რატი), ცხინვალში (1 რატი), ქარელში (1), სურამში (1) და დუშეთში (1).

თფილისის პოლი: მარტყოფში, ხაშში, სავარკოში, მანავში, დემურჩასასაში, შულავერში, ვერცხლის ზოდზე, სხილენძის ზოდზე, ბოლნისში, კვესში, კოდში და წყნეთში, ყოველგან თითო რატი.

უბარდოს პოლი: თელავში, ვვარელში, გავაზსში, შილდაში, ველისციხეში, გურჯაანში, კარდანახში, სიდნაში, ბოდბეში, მაშხარში და შრასიანში, ყოველგან თითო რატი.

მე-17 ეგერთა პოლი: თფილისში, დიდამში, ავჭალაში და კუკიაში — თითო რატი, კარაკლისში 3 რატი, შამშადილას პრავინციაში სოფ. ბაზალგანში 4 რატი და იაკუბელში ერთი რატი.

აი ასე იყო ეს ჯარები დანაწილებული 1801 წლის გასულს.

ერთი მოქმედით, ჩემი პირითა მოტერს სასიკვდილოთ რის განგმირავდენ.

მაშინ რა რიგით თავი მომწონდა ამ მოქმედებით აღტაცებული; მოტერს თავს ზარს ვცემდი მოგონებითა, ხატრანი შეავდა გამარჯვებული.

ასე ამ რიგით რჯულის, მამულის, დამცველი ვიყავ მრავალ-წლოვანი, გმირებს ვუყვარდი, დრო მათასებდა, ვიყავ ფოლადი სახელოვანი.

ახლა შენია ბრძოლისა ველი, ხალხი ხატრით მოგჩერებია, მე არც დრო მიწევს; არც შეავს ხატრანი, და თავი ჩემი მომეხრებია.

სასაცილოა, ბატის ფრთის წვერსა, რომ ეს დიდება მოგნიტებია, და მე დამამშვენს ვაყვარისასა ქება ხატრით მთლათ ამდებია.

**კ ა ლ ა მ ი.**

მე მართალია ბატის ფრთიდან ვარ გამოტრელი და გაკეთებული, მაგრამ სხვა არის ჩემი სურვილი, სხვა რიგით მიძვერს სული და გული.

ჩემი ცხოვრება მეუდრო, მშვიდია, შენი კი მარად აღშოთებული! არვის არას ვთხოვ ქებას, დიდებას, ისე ვმუშაობ თავ ჩადუნული.

არც მაქვს ხატრითი შენებრივითა, თქრის ქარქაში არავინ ჩამდებს, ჩემთვის ვაგდივარ და რის ხატრანი მლამე შელასსა მასმევეს და მასმევეს,

იმ დროს ვდადებ ქვეყნათ სიმართლეს, მსურს ავხსნა ფარდა ბორბოტისა, ბნელში-მეფეთ ძმათა გამოსასხსნელათ კარი გავაღო ქვეყნათ შუებისა.

ავაფრიალო დროშა ერთობის, სიმართლე ძმობის, სიუვარულისა, რომ მით შევწვიტო გლოფა ტირილი, ობოლის, ქვრივის, დაჩაგრულისა.

მიხნათ ესა მაქვს, ამისთვის ვმწამობ, მსურს შემისრულდეს ეს მისწრაფება,

**ხმელი და კალამი**

**ხ მ ა ლ ი.**



ღარვიდენ დრონი დამოვასებენი! ოდეს ვაყვარე წელზე შემორტემულს, ჩემის იმედით, მტრის რაზმს ებრძოდა, და იმშვიდებდა ადელგებულ გულს..

ვასახელებდი მარჯვით მომხმარეს, დაუშვებდი წელს, ვაყვარებას და მას სამარეს ცოცხლათ ვუოხრიდი, ვისც შევნიშნავდი მე ორგულაბას.

ოდეს გმირები მამულისათვის ბრძოლისა ველზე თავსა სწირავდენ.






შენებრ სისხლის სმას არ ვარ ნახვევი,  
ის დრო წასული არ მენახება.

სულიერ საზრდას ვაწვდი დამაშვრალთ  
შთავებრავ იმედს სასწარვეკეთილს  
ვდეგნი შურს, მტრობას, არ ვუღალატებ:  
მიმართულებას, ამ წმინდას, კეთილს.

მე ვარ ამდენის ერთათ მომქმედი,  
უღონო, სუსტი ბატის ფრთის წვერი,  
შენგი ძლიერი ფოლადი ხმალი  
მხოლოდდა სისხლის მწეურვადი, მსმედი.

კატო მიქელაძე.



მეფე დავითი. მიქელ-ანჯელოს გამოქანდაკებული.

სწავლის ნიშნების ვამო.

შინ არ იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნიშნებს.  
არა მარტო გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში,  
არამედ დაბალ სკოლებშიაც კი!.. იქ მოწაფის

ყოველი ზასუხი ნიშნის სასწორზე იდებს, ყოველ გვარ  
ქტევა ნიშნის სახით იჩენს თავს. აუარებელი დრო, მე-  
ლანი და ქადაღდი იხარჯება ამ ნიშნების ჩაწერ, გაფ-  
წერ-გადმოწერაში, მაგრამ შედეგი სახიერო არა აქვს-რა—  
არც გონების და არც ზნეობის წინმსწავლეობა-განვითა-  
რებას იგი არა შეეღის. ზირიქით, სწორეთ ეს ნიშნები  
უშლიან ხელს ერთსაცა და მეორესაც; მოსწავლე ყოველ  
თავის ძალ-ღონეს, გაიძვერობას, ეშმაკობას და ხან  
ტუუილებსაც იმას ანდომებს, რომ კარგი ნიშანი მიიღოს,  
რადგანც უმთავრეს მიზნათ ამ კარგი ნიშნების მიღება  
გაუხდება. ამისთანა ზირობაში კაცის ადამიანათ ქტევა შეუ-  
ძლებელი თუ არა, ძნელი მოსახერხებელი ხომ არის და  
არის.

სკოლამ უნდა შაგნებინოს ემაწვიდს, რომ სწავლა  
თავის-თავათ ბედნიერება და წარმატებაა, რომ კარგი ეო-  
ფა-ქტევა მისთვის, მისი მახლობლებისათვის და მთელი  
საზოგადოებისათვის საკეთილო და სასარგებლოა... ყველა  
ეს რომ შეაგნებინოს მოსწავლე თაობას ამისათვის აღზრდა  
არის საჭირო და არა „ერთების“ ან „ხუთების“ დასმა...

აღბათ ამ გვარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა  
ზეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, რომელ-  
მაც ეჭვ ქვეშ დააყენა არსებული სისტემა მოსწავლე  
თაობის ჭკუა-ზნეობის დაფასებისა და საქვეყნოთ გამოა-  
ცხადა: რას იტყვიოთ, დავტოვო ეს ახირებული სისტემა,  
თუ მოგსწოვო? ამ კითხვის გადასწვევტომ მზრუნველმა  
უმთავრესათ მშობლებს მიმართა, თუმცა შემთხვევით  
სხვებმაც ისარგებლეს და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში  
გაიმართა წერა ამ კითხვის შესახებ..

სათიქრებელი იყო, რომ ნიშნების მოსზობას თანა-  
გრძობით მიეგებებოდენ მშობლებიცა და მოსწავლეებე-  
ბიც, მაგრამ საქმით სულ სხვა აღმოჩნდა: უმრავლესობა  
წინააღმდეგია თურმე ნიშნების მოსზობისა, თუმცა ისე-  
თებიც არიან, რომლებიც სინარულით მიეგებნენ მზრუნ-  
ველის განზრახვას. უმრავლესობა ამბობს: უნიშნებოთ  
მეტე თავისუფლება, თვითნებობა ეძლევა მასწავლებელსო,  
თუ როგორმე ამოიჩემა ემაწვილი შეუძლიან სულ ერთიან  
დადუზოს ცრაიელი ლითონი სიტყვით—არაფერი იცის,  
არაფერს აკეთებსო. ერთი სიტყვით მშობლები მას-  
წავლებლებს არ ენდობიან, იმათ უნდათ ხელში დოკუმენ-  
ტი ქტონდეთ შეიღების სწავლისა და ეოფა-ქტევის შე-  
სახებ კვირიდან კვირამდე... მასწავლებლებიც წინა-  
აღმდეგნი არიან, ზოგი იმიტომ, რომ შეხვეულები  
არიან და ხომ მოგესხებებათ „ჩვეულება რჯულთ  
უმტკიცისა“, ზოგი კიდევ იმიტომ რომ შევირდების ვერ  
იგნობენ, არც იმათი სახე იციან და ხშირათ არც სახელი  
და გვარი; იმათთვის არსებობს დავთარში ჩაწერილი ვი-  
დაცა და იმის გასწვრივ უჯრაში ნიშნები ამ ნიშნებს ის  
დარბასიელი მასწავლებელი გადასწერს, გადმოსწერს და  
შემდეგ „ჩვევა“ რს უზამს, გადიფანს თუ დახარხუებს,  
დაითხოვს სრულებით სასწავლებლიდან თუ დატოვებს,

იმას აღარ ეიტყურებოდა. ამათანა მასწავლებლებს და მშობლებს ბევრი არა მოეთხოვებოდა რა და ხურც ჩვენ მოეთხოვებოდა...

რაც შეეხება გონიერ ნაწილს მშობლებისა და მასწავლებლებისა, იმათი აზრით ნიშნები უნდა მოიხსნას იმ ემასწავლებლებისათვის, რომლებიც რიგანათა სწავლობენ და ცუდი უფრო-ქცევისანი არ არიან. ასეთი ემასწავლებლების მშობლებს სკოლა არაფრით არ შეაწუხებს და ეს შეუწყნებლობაც იმისი ნიშანი იქნება, რომ იმათი შვილები სწავლობენ და შემდეგშიაც გააგრძობენ სწავლას. რაც შეეხება სწავლაში სუსტსა და ან ურიგო უფრო-ქცევის ემასწავლებლებს, იმათთვის შეიძლება დარჩეს, მაგრამ რადგანაც მართლ ცუდი ნიშნის დასმა ვერას მოუმატებს, ამიტომ მათი ამაგი და გარემოება უნდა ეუწყოს მშობლებსა და პედაგოგიურ ბჭობას, რათა თითოეულმა ცალკე და უგულვლო ერთათ მიიღონ ზომები ემასწავლებლის გასასწორებლათ...

ჩვენა ვფიქრობთ, რომ მასწავლე თაობის ზნეობა-ცოდნის დაფასების სისტემის ძირი მოაღწა, ფაქტობრივად და დღეს იქნება თუ ხვალ წამოიქცევა, ჩაბარდება ზატორის... რაც მალე დაიფიქრებს მით უკეთესია და ჩვენც ამ თავითვე მივადიხთ: „წინ წაიღი, უკან შეწყვიტო!“  
გ—რი.

### ქალის ბრძოლა უფლებებისათვის

(ქართული თეატრი ქუთაისში)

„მელია“ — „ბრძალები“ — „ნორა“ — „მამულ-დედული“.

(დასასრული)\*

უმ ნაირათ, უგულვლო ამ ზეიხებში ქალი ებრძვის ძველ შეხედულებებს, რამდენათაც მათი წარმომადგენელია ქმარი. „მამულ-დედული“ კი უმთავრესათ ებრძვის იგი მამას და ოჯახის ტრადიციებს.

შვარცე სამსახურიდან დათხოვნილი ზოდნოვსკოვიკა, მასთან, რასაკვირველია, დიდი „პატრიოტი“. ცხოვრობს ზოდნოვსკოვიკაში, სადაც „ძველს“ დიდ პატივს სცემენ და „ახლს“ კი გაუბრალებენ.

უგულვლო უწინ გამოგვიცნობებთან შვარცეს უნცროსი ქალი მარი და ამის საქმრო მაქსი. მარი მეტათ მშვიდი, წყნარი, გაუბრალო არსებაა, მამის და უფროსების უზომოთ მოჩინი; მისი გონება ვერ გაშორებია მამა მისის და ზატორის შეხედულებებს და აზრებს. მაქსი აფიცრია, მუდამ გამსწავლული ჯეროვანი პატივის ცემით უფროსებისადმი. იგი შეგნიერათ ახსიათებს თვითონვე თავის თავს: „ვინ მომთხოვს მე, მცირე ჯამაგირიან უბრალო აფიცრის დამოუკიდებლობას! ეს ხომ დაბრკოლება იქნებოდა ჩემთვის.“ მარის და მაქსის ძლიერ უგვართ ერთმანეთი, თავს არ დაიზოგავენ ერთი-მეორე-

სათვის, მაგრამ თითქმის რცხვენიათ თავისი სიყვარულით. მალავენ მას, ერთმანეთს ვერ ეადერებიან, ეშინიათ — სხვამ არ დაგვიხსნოს, არ გავვიგონოს. აქ შეუძლებელია თამამათ სიყვარული, სიხარული...


მარის და მაქსის ლაზარაკიდან გავიკებთ, რომ შვარცეს მეორე ქალიც — მაკა, ჭეოლია, რომელიც აკერ 12 წელიწადია გავლებულია სახლიდან; ის უარყოფა მამამ, მისი მოგონება სასტიკათ აკრძალულია ოჯახში.

კარი გაიღება და შემობრძანდება სოფეტნიკი ფონკელი, დიდი ჩინოვნიკი; მას განუზრახავს კონსისტორიაში წარჩინებული ადგილის მოგონა და ამიტომ უნდა მიიღოს მონაწილეობა ქრისტიანულ-რელიგიოზურ საზოგადოებაში, რომ ამით დაეხმაროს სამღვდლოების პატივისცემა. შვარცე ამ საზოგადოების გავლენიანი წევრია და ბ. ფონკელისთვის დიდათ გამოსადეგარია მასთან დახლოება, თუმცა წინეთ ის კრიტიკულად შვარცეს, თითქმის რცხვენისადაც რადგანაც, ამბობენ ის შვარცეს უფროს ქალთან — მაკასთან უხანავთ ბერლინიში... მაგრამ ჯერ მეტი არა ვიცით-რა ამის შესახებ. მხოლოდ გავიკებთ კი: შვარცემ მიტომ გააგლო სახლიდან მაკა, რომ ის არ წაჰყვას ცოლათ მამის არჩეულ კაცს, ზატორს გაეყვარებინა. მაკა ბერლინიში ცხოვრობდა. მერე სცენაზე შესულა მომღერალ აქტრისათ.

შვარცე აღტაცებით მიეკებება ისეთ ძვირფას სტუმარს, როგორც ფონკელია, მით უმეტეს, რომ უკანსხელი ზირ მოთხეთ შეაქებს მასწავლებლის საზოგადო საქმისთვის დაუღალავ მოღვაწეობას. „დიდათ“ სასიამოვნოა თქვენთან ნაცნობობა, განაგრძობს შვარცე, მაშინ, როდესაც ზნეობრივობას და ავტორიტეტს ძირს უთხრის თანამედროვე იდეები! მაგრამ არაინ კიდევ მშვიდი, წყნარი კუთხეები, სადაც აღიზრდებიან მეფის ერთგული მეომრები და ამათთვის კეთილზნეობის საცოლოები. აქ ვერ გაიგონებთ თქვენ ვერც შემკვიდრეობაზე, ვერც არსებობისთვის ბრძოლაზე, ვერც ზიროვნების უფლებებზე, — აქ სიძველე უგულვლო ეს იდეები... აი თუნდ ჩემი სახლი, უგულვლო აქ უბრალოთაა, ძველებურათ, მაგრამ არა გრძობთ თქვენ განა აქ ბედნიერებას? განა ცუდათ ცხოვრობთ (მიმართავს ის ცოლს და ქალს)? განა ჩვენ მეგობრები არა ვართ? აი ასეთი ურთიერთობა უნდათ მოსწონ. დათესონ შვილებში სული ზატორისა. ასტორს უკმაყოფილება ცოლსა და ქმრის შორის!“, შვარცე მეტათ აღელვებულია, კვლავს შეეშინდება, რამე ცუდი არ მოჰყვას ამისა და დიდლომატიურათ გამოეთხოვება მასწავლებლებს...

შვარცეს სახლი სტუმრები ეწვევიან: კენერალი ფონკელისი და მასწავლებელი ბუკმანი. კენერალი უფავრდება მასწავლებელს: „ვიდაცა მომღერალი ქალი მოსულა და იმას შეჩერებინართ, არა გრცხვენიათ?!“ ბუკმანი: „ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მაგისტრანა გამოჩინილმა მომღერალმა მონაწილეობა მიიღო ჩვენ მუსიკალურ

\*) იხ „კვალი“ № 46.



დღესასწაულში...“ გენერალი: „ერთი მითხარით, რის მანქანისა ხელფანება, მუსიკა?“ — ბეკმანი: „ხელფანება ადამადლებს ზნებობრით ხალხს“. გენერალი: „ამისთვის სრულიად სავაჭროსა რომელიმე სამხედრო ამხანაგობაში შესვლა.“ — „უგელა როდია ასეთი ბედნიერი, რომ სადღათი იყოს!“ ჩაუმატებს სიტყვას შვარცე... ამით დავას ბოლოს მოუღებს ზასტორის და შვარცეს ცოლის დის ფრანცისკას მოსვლა. ეს უკანასკნელი უამბობს შვარცეს: „ობერ ზრეზიდენტთან ვიყავით დახატოებული; დიდი წვეულება ჰქონდა. ვხედავთ, მადის თვითონ ობერ-ზრეზიდენტი და ხელ გუერილი მოხუცს ვიდაცა მადლი, ღამაში ქალი, ძვირფასათ ოქრო-ბრილიანტებით მორთული. გეგონებოდათ ზრინცეს იყო... ეს ის გამჩენილი მამულერადა, რომელიც ჩვენმა ქალაქმა დახატოა დღესასწაულზე და ეს მამულერადა არის... მაგდა!“, ტყვილათ ეხვეწება ზასტორი შვარცეს: რაც იყო, უგელაფერი დაივიწყე და ხელი გაწოდე შენ ქალსო. მამას წყობის რომ მაგდა ასეთი გამჩენილი ზირი შეიქნა. „მე უფრო მაიმებოდა, ამბობს იგი, ძინძებში გლახსავით დაცემულიყო ჩემ წინ ჩემი ქალი და მოტყუებს მოკთხვავა ცრემლებით!“ — „კარების უკან შენი გზა დახეული შვილი დგას და შენ ვადღებოდა ხარ მიიღო ის, მიუტყუო მას შეცდობანი მისნი“ ეუბნება მას ზასტორი და როგორც არის დაითანხმებს...

მაგდა მამის სახლთან კავილის, ეტლს შეახერებს, რომ ფანჯარაში მანინე შეინდოს შორიდან, ეგებ თვალი მოხუკრას მამას ან დას. მას დაინახავენ, შვარცე და მისი ცოლი, შეხვდებიან და სახლში შემოხვავთ.


12 წელიწადია, რაც მაგდა განაძევეს სახლიდან; ბევრ გაჭირვებას შეხვდა იგი, დიდი სიღარიბე გამოაჩინა, მიშველი სიცივისაგან კვდებოდა, მაგრამ თავის შრამით მანინე გაიკვლია გზა... გაჭირვებასთან ბრძოლაში შექმნა ის დამოუკიდებლათ, აღზარდა მასში თავისუფლება; ის ცხოვრობს მხოლოდ თავის ძალით და დონით, თავის იმედით, სწამს თავის თავი და არავის არ დაუთმობს თავის ზიროვნებას. ის იტალიაში იყო, (—იტალიელის გვარსაც ატარებს) როდესაც სამშობლო ქალაქმა მიიხატოა სამუხსიკო დღესასწაულზე. ორმა სურვილმა გააბედვინეს მას აქეთ წამოსვლა: ერთი-მონეტრა სამშობლო მხარეს ნახვა, მეორე — უნდოდა ეჩვენებინა თავის ოჯახისათვის, რომ მისი ვიწრო სათნოების გარეშე შეიძლება მოიხლოდეს ადამიანმა კარგი და სასახელო რამ.

მაგდა ეაღერსება მამას, დას, დედინაცვალს, ტკბილი ენით ესაუბრება მათ, უგვარს უგელა, რაც იყო დაივიწყა; მაგრამ ეს უგელანი უცხო არიან მისთვის; ის ერთ ბანაკს ეკუთვნის, ესენი — მეორეს; იქ თვით მამქმელი თავისუფალი ზიროვნება, აქ მორჩილობა, ავტორიტეტობა, მონობა; იქ ფართო შეხედულებანი, ცხოვრება მთელი არსებით, აქ აზრთა სიფიწროვე და ძველი ტრადიციები, შიში ცხოვრებისა; იქ ახალი, აქ ძველი ცხოვრება...

მაგდას ისევ სასტუმროში უნდა დაბრუნება: მისი ვიწროობა! მამას ეს შეურაცხყოფათ მიაჩნია და ზასტორს დატოვებს მაგდასთან, რომ მან მარჯულს ურჩი შეიღო. — „მე არ შემიძლიან დარჩენა!“ ეუბნება მაგდა ზასტორს. ზასტორი: „განა შეგხო ვინმე თქვენ სიამაყეს? განა ვინმემ სიტყვა დასძრა ზატოებაზე?“ მაგდა: „ეგლა მაკლდა!“ — მას რამ გაიძულათ რამდენიმე წამის შემდეგ სახლიდან წასვლას? — „მე თქვენ ავიხსნით: აქ შემოსვლისთანავე ვიგოძენ: მამის ავტორიტეტი მიშვერს კლანჭებს... და დამზადებულია უკვე უღელი, რომელიმაც მე ვისერი უნდა გაუყარო.“ — „სრულებით არა, აქ არა არის რა, კარდა წრფელი სურვილისა გულს მიიკრან ცოდვილი ქალი...“ — „უკაცრავათ!.. მე რომ დავბრუნებოდიყო, როგორც ცოდვილი ქალი, ასე ამაუთ არ ვიდგებოდი თქვენ წინ, არამედ ძირს ვეგდებოდი მტვერში და ცრემლებში... მე ეგ არ შემიძლია! მე, „მე“ ვარ, და თავს ვერ დავიმცირებ!“ ზასტორი: შენს გამო მამა შენს დამზდა დაეცა, მარჯვენა ხელი გაუხმა, სამსახურიდან დაითხოვეს, ამის გამო, ის სულით დაეცა. იმის ამბავი და მარის ცრემლები მოსტყუნებს მაგდას სიამაყეს: თანახმაა დარჩეს, მაგრამ ერთი ზირობით — არავინ ხმა არ ამოიღოს მისი წარსულის შესახებ; აქ ვერ გაიკებენ მას.

მიშვიდობიანობა თითქმის ჩამოყარდა ორ ბანაკს შორის, მხოლოდ თითქმის, ნამდვილათ მათი შერიგება, შეთანხმება შეუძლებელია. მაგდა მიჩვეულია სრული ბატონი იყოს თავის საქციელების, აზრების, ფიქრების, თუნდ ისინი სრულიად ეწინააღმდეგებოდენ მამის, დედინაცვლის, დის და მათი საზოგადოების შეხედულებებს. მონხურს კი ვერ მოუსვენია: მისი ქალი დღეს მასთან არის, ეაღერსება მამას, უგვარს მაგრამ ნუ თუ მისი ქალი არ უნდა იმყოფებოდეს მამის ავტორიტეტის ქვეშ და მან, მამამ, არ იტოვებს, როგორი იყო ქალის წარსული? დარწმუნებული იყავი, შვილო ეუბნება მაგდას: ისე ვრუ და უბრალონი არა ვართ, შენ რომ გვინია. ჩვენც გვაქვს უური, რომ ვისმინოთ, თვალი, რომ დავინახოთ, თუ როგორ შეიხურა მთელი დედამწა ზნებობრივი აჯახეების სულმა. რაც წინეთ ცოდვა იყო, დღეს კანონია... შენ წახვალ და ვინ იცის, კიდევ განსავ, თუ არა. ნება მომეცი, თავისუფლათ ჩავიდე საფლაფში, — მითხარი: წმიდა დარჩი სხუელით და სულითაც!“ — „მე... არ მიღალატნია ჩემი თავისთვის. მამა!“ უბასუხებს მაგდა. — „რამი, ცუდში თუ კარში!“ — „იმში, რაც ჩემთვის კარგია“. ეს არ აკმაყოფილებს შვარცეს და გულ-მოსული ამბობს: „მე ვიტანჯე შენთვის, მე მივარჩინე შენ, მაგრამ უნდა ვიცოდდე: ვინა ხარ!“

სტუმრები მოდიან და შვარცე კარეთ გავა... ჩვენ წინ მარტო მაგდა და ბ. ფონ-კელერია. ეს ვაჟ-ბატონი დიდი გმირი ყოფილა. მაგდა ახლათ ჩასული იყო ბერლინიში, ჯერ სრულიად გამოუცდელი, ბავში იგი ნახევრათ მიშვიერი ცხოვრობდა, მაგრამ მტკიცეთ ირკვე-



და გზას სტენისაკენ. მან გაიცინა კელონი, დაუხლოვდა, სულოთ და გულოთ შეიფარა იგი... რამდენიმე თვის შემდეგ კელონი მიატოვა მაგდა და სადღაც გაიპარა. მაგდას შვილი ეყოლა და მამის კიდევ უფრო მეტ გავრცელებაში ჩაება. ცივ ზამთარში შიშველი დადიოდა ქუჩა-ქუჩა, მდგომარეობა, ცუდყოფა და ისე შოულობდა ლუკ მას თავის შვილისთვის... ეველა ამას მთავრებს მაგდა ბ. ფონ-კელონს და ზიზღით დასცინის. კელონი შეშინებულია; გახუმლი, ეუბნება მაგდას: თორემ ეს ამბავი რომ აქ გაიგონ, შენც დაიღუპები და მეც დამღუპავო. „გაიგონ! ეველა მოვიდეს და გაიგონ! ამბობს გამწარებული მაგდა: „მე ეველასთან ვიტყვი, რა აზრისა ვარ შენზე, თქვენც და თქვენ შემხანურ ხნებაზე!... განა ამისთვის ვმუშაობდი 10 წელიწადს დღეს და დამეს? განა სისხლით და ოფლით არ მოვიპოვე დღევანდელი მდგომარეობა? რისთვის უნდა გავწითლდე ვის წინაშე უნდა იყოს? მე ვარ „მე“ მხოლოდ ჩემი თავის შემწეობით, მე თვით გავხდი იმით რაც ვარ!..“ „ნუ გეშინია, მე უნდა ვიცი! განაგრძობს მაგდა: მაგრამ რომ გხედავ—ერთი მხრით შენ, რომელსაც არ შეგიძლია ზასუნი აგო შენი საქციელისთვის, მეორე მხრით მე. შენი მეხებოთ უარყოფილი, გამძევებული ყოველივე „ხატისან“ წრიდან... ეჰ! მე მტრხეხვია შენ მაგიერ!..“ ამ დროს მამა ავირებს სხელი შემოსვლას, და ადუღებული მაგდა გარეთ გავარდება. ფონ-კელონი ძლივს ჩერდება ფეხზე. შვარცე მეტი ადუღებისაგან კანკაღს დაიწვეს. კელონი აჩქარებით გამოეთხოვება მას და მიდის. „მაგდა! დაუძახებს მხურცი ქალს: ჩემს ოთახში შედი, მე უნდა მოგკლავარაგო შენ!“ მაგდა: „მეც, მამა!..“

მაგდა ეველაფერს უამბობს მამას თავის და კელონის შესახებ და ეტყვის: „ეველაფერს ემჯობინება ესა კარზე მიმითითო და გარეთ გამაგდო. ასე, თუ ისე, უნდა მომიშორდო, თუ გინდა ჩირქი მოაშორდო შენ სხელს.“ — „წახვალ?! მწარეთ უმასუხებს შვარცე: წახვალ, და გკონია, ეველაფერი ისე იქნება, რაც გინდა იყო!.. აქ? აქ?.. აქ ჩვენ დაგჩვენით, მე, შენი და, დედა შენი...“ მაგდა: „რა გინდათ ჩემგან? სისუფლესა მომთხოვოთ, რომ თქვენსავით ვიფიქრობდე და ვგრძობდე. მე ის არა ვარ, რაც ვიყავი!“ — „შენ ვერსად ვერ წახვალ!“ გზას გადაუღობავს მიმავალ ქალს შვარცე: „უმაღ ჩემი ხელეობით დაგანჩნობ აქვე!..“ მხურცი კელონთან მიდის. მაგდას ზასტორი მოკლავარაგება: მე ვიცი, რისთვის წავიდა მამა თქვენი კელონთან—უნდა მომთხოვოს, რომ მან თქვენზე ჯვარი დაიწეროს... ოჯახი გალანძღულია, თქვენი მამა ამას ვერ გადიტანს, უნდა შეიბრალდოთ თქვენი დაც, დედაც და თავი გასწიროთ შეურაცხყოფილი ოჯახის სხელის აღსადგენათ, — გაქევიოთ ფონ-კელონი...

მაგდა თანხმდება.  
 მაგდამ თავი გასწირა სუფარულ არსებობისათვის! თავის გაწირვა ხომ ვადღებოლობა და სხსხელა?

მაგრამ იმას არ იკითხავთ: სიმართლემ თავი უნდა შეიწიროს წიროს სიტრუეს, ცრუმორწმუნეობას? მაგრამ უნდა უარჯულოს თავის თავი, გაქევის საზიზღარ დამანს, დამნაშავეს, რომელმაც ის მოატყუილა, დასტანჯა, ეველაფერი მას, სუსტ არსებას მოახვია თავზე და თვითონ არხეინათ ბრძანდება? დამნაშავე დასჯიარონ, დანაშაულობას ახალი დანაშაულობა მიუმატონ—ახალი მსხვერპლი შესწირონ? ეს იმისთვის, რომ „სახელი“ ადიდგინონ, რის სახელი! რის ადგენა!

მაგრამ ასე ფიქრობს შემტდარი, ცრუმორწმუნე მამა და მისი საზოგადოება, და მაგრამ თავი უნდა გასწიროს მათთვის! და განა მათ არ განაძევეს ის ოჯახიდან მარტო, უფუგმა-ხურთ?...

ბ. ფონ-კელონი თვითონ ზირველი თხვს შვარცეს მისი ქალის ხელს. ესა მისთვის ბედნიერებაა გამოჩენილი ზირის შერთვა.

მხოლოდ ორ რასმე მოითხოვს თავის საცოფლესაგან, მან დასტოვოს სტენა და უარყოს... მათი „უკანონო“ შვილი, რომელმაც ხელს შეუშლიდა მის კარიერას და საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ეს ნამეტანია მაგდასთვის! ეველაფერს დათმობს, რაც მისი სახელი და სიხარულია, ეველაფერს, მაგრამ შვილს ვერა! შვილს, რომლით ცხოვრობს, რომლით უღვია სული, რომელმაც აკრძობინა მას ზირველათ აღამინის უძვირფასესი გრძობა—დედის სიყვარული, რომლისთვის იმდენი ცივი და შშიერი დედა-დამეუბი გაატარა, რომლისთვის ბრძოლაში მთლათ გადასბრუნა მისი სულიერი არსება და შექმნა იმათ, რაც არის დღეს.

„არასოდეს! მე ვერ წავევები ბ. ფონ-კელონს.“ გამწარებული ეუბნება მაგდა მამას და რომ უფრო კაითავისუფლეს თავი, იმასაც მოიტყუილებს: „რა იცი, რომ კელონი ერთათ ერთი იყო ჩემ ცხოვრებაში!“

„უნამუსო!“ შეჭვივრებს შვარცე და რეგოლოვრს დაუმიზნებს, მაგრამ დამბლა დაეცემა და კვდება...

ჩვენ გვირებში ეველაზე სუფარული მაგდაა: იგი განხორციელებას ახალი ცხოვრების. თვით-მოქმედი, დამოუკიდებელი, თავისუფალი მაგდა არავის არ უთმობს თავის უფლებებს: სახლიდან გაავდეს ამისთვის, შშიერი და შიშველი იყო, მამასაც კი იმსხვერპლებს, მაგრამ მართალია და სიხარულით უნდა მივეგებოთ მის გამარჯვებას.

მაგდა და ნორა მთელი ისტორიული მოვლენა ევროპის ცხოვრებაში, მათ მაგალითს არა ერთი ქალისთვის ჩაუდგამს სული, არა ერთი გაუტანია განათლები-სადმი, გადაამიანებისადმი. ჩვენმა ქალებმაც უნდა გაიხადონ ისინი წინამძღოლ ვარსკვლავათ, და თამამათ, თამამათ წავიდენ წინ სინათლისა და თავისუფლებისადმი.

S—n.

P. S. მეტათ სსარგებლათ ასეთი სისტემატიური წარმოდგენები. კარგი იქნება, ბ. მესხიშვილი ამ გვართვე წარმოდგენდეს სხვა იდეის ზიესებსაც.

ერთდღე სიტყვა ქუთაისის საზოგადოებაზე. მეტათ გაუგებარია მისი გულის ატრუება ქართულ წარმოდგენებზე. დასი შარშანდელზე სუსტი არ არის, უფელ კვირაში ახლა, სერიოზული იდეის ზიკსები იმართება, რეისორი უფრო მარჯვით მეტადინობს, ვიდრე სხვა დროს, წარმოდგენები თამაშის, ანსამბლის და მწყობილობის მხრით თუ ვგროზის დიდ ქალაქების წარმოდგენებს ჩამოუყარდება არც დასაწყისია. მაგრამ ჩვენი საზოგადოება, ნამეტურ ,,ინტელიგენტური“ უფრო არჩევს ქალაქი თამაშის, იჭორიკანას, ვიდრე კვირაში ერთ დღეს მანც სერიოზულათ გაერთის, გონებრივი საზრდო მიიღოს, დაფიქრდეს, აამოძრავოს თავისი ტვინი. რომ ჰკითხეთ, დიდი ზატორიტიც არის, ქვეყნის სასეულს ფიცულებს, და ასეთ ძვირფას ქართულ დაწესებულებას, როგორც თეატრია, უყრადლებას არ აქცევს, დახმარებას არ უჩენს.

S—n.

# უგულობა



I

**ფ**ატი, ოთახები რომ მიალაგო, ღმერთი გიწყენს? — გულმოსულათ გამოსძახა სამზარეულოდან დედამ ფატის. ან კი რა გასაკვირველი იყო, რომ ელისაბედი კარგ გუნებზე არ ყოფილიყო? თითქმის მთელ თავის სიცოცხლეში, ახალგაზდობიდან დაწყებული, ბედნიერება არ უნახავს; ადრე დაქვრივებული, ის იძულებული იყო დილიდან საღამომდე იმაზე ეფიქრა, რომ რამენაირათ თავის თავი და სამი შვილი გამოეკვება; ყოველ დღე იმაზე ფიქრი, თუ როგორ განაწილდეს ისე ერთი მანეთი, რომ დღეს ყველაფერს ეყოს და ხვალისთვისაც პურის ფასი ღარიჩეს — ამაზე უფრო ადრე რა მოულებს ბოლოს ადამიანის სიყმაწვილეს, მხიარულებას, ხალისს?

ფატი წამოდგა და სასტუმრო ოთახში გამოვიდა; ზიზღით აათვალიერა-ჩათვალიერა ეს ოთახი, რომელიც მათ სასადილოს და დედის საწოლ ოთახის მაგიერობასაც უწევდა, რომელშიაც დედის საკერავები საძაგლათ იყო აფუშულ-დაფუშული და ღრმათ ამოიონრა; საწყალი დედა! წუხელიც ღამე უტეხია, ისე დაღალულა, რომ თავის საკერავების მილაგებაც ვეღარ მოუსწრია! ფატიმ შუბლ-

ზე ხელი გადისვა და ოთახის მილაგება დაიწყო; ან რა სურვილი უნდა ჰქონდეს ადამიანს ისეთი ოთახის მილაგების, რომელსაც არც კი შეეტყობა? და ახალგაზდა ქალი უგულოთ წმენდდა მტვერს, თავ-თავის ალაგას აწყობდა დანგრეულ, დაძველებულ სკამებს, ჰფენთხდა გამოხუნებელ დივნის წინ დამდგარ სტოლზე გადაფენილ, ერთ დროს შეიძლება ლამაზს, მაგრამ ახლა საძაგელი შესახედავ ხავკრდის სტოლ-საფარს... მერე ძმების პატარა ოთახში გავიდა, სადაც ორი კრაოტის და მათ შორის დამდგარი სტოლის მეტი არა ეტეოღარა, გავიდა და შუაში გაჩერდა, ხელები უღონოთ ძირს ჩამოჰყარა, თვალები უაზროთ ერთ წერტილს მიაშტერა... სულ, სულ ამისთანა ცხოვრება! ყოველ დღე ღარიბ-ღატაკი, საძაგელი შესახედავი ოთახების ლაგება, მერე კისრის ტეხით იაფ-ფასიან გაკვეთილებზე სირბილი, გულის ხეთქა, უნიქო ბავშვების თან გადაყოლა, სადილი, რომელზედაც დედის უფულობაზე წუწუნის მეტი არაფერი ისმის, ნასადილევს ისევ გაკვეთილები... და მერე მოწყენილი საღამოები სახლშივე, სულ ასეთი უფერული, მიუზიდავი ცხოვრება! კითხვასაც კი ვერ ასწრებს, მისი ხალისიც კი არა აქვს! მთელი დღე ნაშრომს და ნარბენს, საღამოს რაღა შეუვა თავში? სტუმრათაც არსად დადის, სადმე რომ წავიდეს, ხომ თითონაც უნდა მოიბატოყოს ვინმე, ამის საშუალება კი სად არის? მისთვის ხომ ვერ მოიწვევს სტუმრებს რომ თავის პატარა იატაკ-გაულაქავ და კედლებ გაუკრავ ოთახში დასვას, სადაც თითონაც ძლივს ეტევა? ან მისთვის ხომ არა, რომ დედის წუწუნით დაატკბოს, თავისი ოჯახის უბედური მდგომარეობა აჩვენოს და მათში სიბრალული და თანაგრძნობა გამოიწვიოს? არა, არა და არა! არავისი სიბრალული, არავისი თანაგრძნობა არ ეჭირვება! იყვენ სხვები სადაც უნდათ, როგორც უნდათ, ეს კი მთელ თავის სიცოცხლეს ასე გაატარებს, არავის არაფერს არ თხოვს...

— ფატი, დღეს ადრე დაბრუნდები? მიაძახა დედამ ფატის, რომელიც გაკვეთილზე წასასვლელათ მომზადებულიყო.

ფატი სამზარეულოს კარებთან შეჩერდა და დედას შეხედა. გაწითლებული, ოფლში გაწურული, ის პლიტას დატრიალობდა და გულ-მოდგინეთ უხსნიდა თავის ერთათ ერთ მოსამსახურეს, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგოს, როგორ უნდა საქმელებს გაკეთება: გოგოს სულელური, უაზრო სახეცხადათ ამტკიცებდა, რომ ის ვერაოდეს კარგათ ვერაფერს ისწავლიდა. ჰკვიანი და მოხერხებული რომ ყოფილიყო, ხომ არც იქამდის მიაღწევდა, რომ იძულებული გამხდარიყო თვეში ორ მანეთ ნახევარს დაჯერებულიყო...

— ოთხის ნახევრისთვის. საქმე გაქვს რამე?

— გიგუცი ამბობდა, ხვალისთვის რაღაც თხზულება მაქვს დასაწერი და ფატიმ უნდა დამიწეროსო.

ფატიმ არა უპასუხა რა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

დედასაც, დედასაც კი არ ეცოდება! ბესო და გიგუცი მთელ ქვეყანას ურჩევნია, ფატი კი... ისე ექცევა, თითქო ის მოვალე იყოს მთელი დღე იმუშაოს, წელში გაწყდეს ორი კაპეიკის საშოვნელოთ... და ძმების გაკვეთილებიც თითქმის ყველა იმან დაწეროს, მაშინ როდესაც სხვისი ბავშვების სწავლებით დაღალულს თავბრუ ეხვევა, ფიქრები ერთმანეთში ერევა... სად არის, სად, სამართალი? და ფატი ითვალისწინებს თავის გიმნაზიელ ამხანაგების ყოფა-ცხოვრებას; რამდენი მათგანი შეხვედრია ქუჩაში ეტლით მოსეირნე, მხიარული, უზრუნველი, მორთულ-მოკაზმული... რამდენ მათგანს თვალი აუშორებია, განგებ არ შეუხედავს ღარიბულათ ჩაცმულ ფატისთვის, რომელიც ერთი გაკვეთილიდან მეორეზე მიეჩქარებოდა! მათ ყველაფერი აქვთ, ყველაფერი, ფატის კი არაფერი! ყოველ მათგანს შეუძლია ყოველი თავისი სურვილი შეისრულოს, ფატის კი თავისი ერთათ ერთი მხურვალე სურვილის განხორციელებაც მიუწვდომელი იდებოდა აქვს დასახული... მუსიკა, მუსიკა! — და ფატიმ მწარეთ ამოიხზრა. მუსიკა იყო მისი ერთათ ერთი ნუგეში, ერთათ ერთი ნეტარება!

პატარობისას, სანამ მამა ცოცხალი ჰყავდა, ფატი პიანინოზე დაკვრას სწავლობდა; რა მარდათ და დაუღალავათ დარბოდნენ მისი პატარა თითები კლავიშებზე, რა აღტაცებით ისმენდა მამა მის დაკრულ პიესებს და რა ბავშური გატაცებით იძიხობდა: ჩემი ფატი შესანიშნავი მემუსიკე იქნებაო! და ფატისაც რწამდა, რომ შესანიშნავი მემუსიკე იქნებოდა, რწამდა, რადგანაც გაგიჟებით უყვარდა მუსიკა, რადგანაც მზათ იყო დილიდან საღამომდის სულ დაუსვენებლათ ეკრა... მაშინ ყველაფერი ავიწყდებოდა, აღარაფერი ახსოვდა და მხოლოდ რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა, როცა მის თითებს ქვეშ პიანინო ნაზათ კვენსოდა და თავისი ნაღვლიანი, სევდიანი ხმებით რაღაც სიტკბოებასთან შეზავებულ მწუხარებას აღუძრავდა ხოლმე გულში... მაგრამ წავიდა, ყველაფერი წავიდა!

მამა მოკვდა; თუ უწინ მდიდრულათ თუ არა, შედარებით მაინც უზრუნველათ ცხოვრობდნენ, ახლა ყველაფერი შეიცვალა: 15 მანეთიანი პენსია ვის რას ეყოფოდა? დედა იძულებული შეიქნა, საკერავეებისთვის მოეკიდნა ხელი, სახლი გა-

მოიცვალეს და ქვედა სართულში, თითქმის სართულში დაიჭირეს პატარა, ბნელი ოთახებში, პიანინოც, ფატის ძვირფასი, საყვარელი პიანინოც გააყიდეს. რამდენი ღამეები გაათენა მწარე, გულსაკლავი ქვითინით ფატიმ, რამდენი იგლოვო თავისი ერთათ ერთი დაუღიწყარი შეგობარი და თანამგონობელი... მას აქეო აქვს იქ, საღლაც შორს, შორს, გულის სიღრმეში ჩამარხული პატარა, ბოროტი, დედის წინააღმდეგი გრძნობა...

კიდევ ფატის ბედი, რომ კარგი სწავლისთვის გიმნაზიაში სწავლის ფასისაგან გათავისუფლებული იყო, თუ არა გიმნაზიიდანაც გამოიყვანდნენ...

— პიანინოს ღრო ვიღასა აქვს, ახლა შენ სულ წიგნებს უნდა ჩაკვდე, იქნება სწავლა მალე გაათავო და შენი შრომით მოიხერხო ცხოვრება ძმებსაც რამეში შეეწიო... ეუბნებოდა დედა თორმეტი წლის ფატის და მოფერებით თავზე ხელს უსვამდა. — ჩემსავით უსწავლელი თუ დარჩი, შენც კერვის მეტი არაფერი საღსარი არ გექნება!


თვალცრემლიანი ბავში თავჩაღუნული ისმენდა დედის სიტყვებს...

— დედა! — აკანკალებული ხმით თქვა მან ბოლოს; — მუსიკა რომ კარგათ ვისწავლო, ხომ მისი გაკვეთილებითაც ვირჩენ მერე თავს?

— მერე მასწავლებელს ფული რომელი ხაზინიდან უნდა ვაძლიოთ? — გააწყვეტინა დედა. — არა, შეილო, შენ იმ გზაზე წადი, რა გზაზედაც დაყენებული ხარ; მუსიკა, სიმღერები და ტანციობა მდიდრების საქმეა, ჩვენ ლუკმა პურზე უნდა ვიზრუნოთ, დროს გატარება კუქს ვერ გავგიძღვებ!

და მას აქეთ ფატი ლუკმა-პურასთვის ზრუნავდა. მთელი მისი სიცოცხლე მცირე დასაკლისებით, მცირე მწუხარებით და ტანჯვებით იყო სავსე, იმ მცირე, წვრილმანი ტანჯვებით, რომლებიც ცალ-ცალკე არას ნიშნავენ, ერთათ შეერთებული კი მოუსვენრათ ღრღნიან და ასაწყლებენ, ჩაგრავენ ახალგაზდა გულს, რომლებიც ცხოვრებაზე შეხედულობას უმწარებენ ადამიანს, რომლებიც სულ ქვეყნიერების უსამართლოებაზე აფიქრებინებენ...

მეხუთე კლასში გადავიდა თუ არა, გაკვეთილები აიღო, თან ბესოს და გიგუცის პირველ კლასისთვის მომზადება დაუწყო; მეშვიდე კლასი რომ გაათავა, დედამ გიმნაზიიდან გამოიყვანა, მერვე კლასში უფასოთ ყოფნა აღარ შეიძლებოდა; მეორეთ იგრძნო ფატიმ წუთი-სოფლის უსამართლოება, როდესაც ის, ახალგაზდა, ჩვიდმეტი წლის, ძალაუნებურათ ცხოვრების უღელში ჩაება და იძულებული შეიქნა იაფ-ფასიან გაკვეთილებზე ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში დაეწყო სიბილი.



— ახლა, შვილო, მე და შენ ჩვენი თავი უნდა დავივიწყოთ, სულ ბესოზე და გიგუციზე უნდა ვიფიქროთ; აი, აგერ პირველ კლასში უნდა მივცეთ, ორიგესთვის ყოველ-წლივ ფულის შეტანა, ტანი, ფეხი, წიგნები, ხუმრობა კი ნუ გგონია! აბა, შენ იცი, როგორ დობას გაუწევ შენ საწყალ, ობოლ ძმებს; ეგენი კაცები არიან, თუ სწავლა არ მიიღეს, ჩვენ ღროში კაცებათ არ ივარგებენ. შენ კი რაც იცი, ისიც გეყოფა, გათხოვდები და ქმარი გარჩენს...

კი, მაგრამ... ფატიც ხომ ახალგაზდა იყო, მას მხიარულება, მას ბედნიერება უნდოდა, სიცოცხლე იზიდავდა, ოცნება ათას გვარ მომხიბლავ სურათებს უხატავდა... ცხოვრება კი, შეუბრალებელი, უღმობელი ცხოვრება სასტიკათ ეუბნებოდა: შენი თავი დავიწყე, ოცნებას თავი დაანებე და სულ იშრომე, იშრომე და იშრომეო...

და ფატი თავს ივიწყებდა, შრომობდა, შრომობდა და შრომობდა; ცდილობდა, მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ფიქრებით, გრძნობებით ამ მუშაობაში წასულიყო, რომ წამიც არ დარჩენოდა თავისუფალი და თავის უფერულ, უბედურ ცხოვრებაზე არ დაფიქრებულიყო; მაგრამ მაინც ხან-და-ხან, როცა თითონ თითქო განზე გადგებოდა და იქიდან შეხედავდა ამ ბედისაგან დაჩაგრულ, ახალგაზდა ქალს, საშინელი თავის თავის სიბრაღული აიტაცებდა ხოლმე; ტირილი დიდი ხანია აღარ იცოდა, მაგრამ ვინც კი მაშინ მის ფერმკრთალ სახეს, მის დიდ, თითქო უაზროთ ერთ წერტილს მიშტერებულ თვალებს დაკვირვებით შეხედავდა, ცხადთ დაინახავდა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა მის საწყალ, დაჩაგრულ გულში და თავისდა უნებურათ მწვავე სიბრაღულს. სიყვარულს იგრძნობდა მისდამი.

— ღმერთო! ნუ თუ მთელმა ჩემმა სიცოცხლემ ასე უნდა ჩაიაროს?—თითქმის ხმა მალლა წამოიძახებდა ხოლმე ხანდახან... მაგრამ არსაიდან, არავისგან პასუხი არ ისმოდა, დრო კი შეუჩერებლათ მიდიოდა, საუკეთესო, სიახალგაზდავის წლები სულ მიდიოდნენ და მიდიოდნენ...

აი, ღღესაც. ფატი ყოველივე ფიქრს იშორებს და ყველაფერს, რასაც კი აკეთებს, მაშინაღურათ აკეთებს; თავს ისე გრძნობს, თითქო ჭკუა, გონება, ფიქრები, აზრები, ყველაფერი რაღაც მანქანებით მისი თავიდან გამოეღოთ და რაღაც სიცარიელე, ცივი, საშინელი სიცარიელე გაბატონებულიყოს მთელ მის არსებაში. მაშინაღურათ მიდის ის გაკვეთილზე, მაშინაღურათ ასწავლის პატარა, ცქრილა ცხრა წლის ქალიშვილს, რომელიც მზათ არის სულ

ტიტინში გაატაროს სასწავლებლათ დანიშნული საათები, მაგრამ რომელსაც მასწავლებლის რაღაც თითქო გაქვავებული შეხედულება ყოველივე სიმხიარულეს და ტიტინის ხალისს უკარგავს, მაშინაღურათ მიდის მერე მეორე გაკვეთილზე, ათი წლის ვაჟის სასწავლებლათ...

— უკაცრავათ, რომ აქამდის დავიგვიანეთ!— ეუბნება სწავლის გათავებას შემდეგ ბავშვის დედა და კონვერტით თუმანს აძლევს ფატის. ფატი მაშინაღურათ ართმევს ფულს და ნელი, ზანტი ნაბიჯით მიდის სახლში. მის თავში, გულში, მთელ სხეულში ისევ ის ცივი, რაღაც საშინელი სიცარიელე სუფევს. „მთელი, მთელი სიცოცხლე ასე!“ ხანდახან გაუვლის თავში ეს სიტყვები, მაგრამ მათაც კი აღარ აქცევს ყურადღებას, იმათაც შეჩვეულია... ეჰ! ღირს, ღირს რამეზე ფიქრი? ხომ სულ ერთია, ფიქრს არაფერი არ შეუძლია, არაფრის გამოაცვლა არ ძალ-უძს, ხომ მაინც ყველაფერი ისევ ისე აღარჩება, მხოლოდ თავი აუტანელათ ტკივილს და გული მოუსვენრათ კენესას დაუწყებს...

— ფატი, ფული მოიტანე? ფული მოგცეს? მივარდნენ ფატის ბესო და გიგუცი, შევიდა თუ არა სასადილო ოთახში, სადაც სუფრა კიდევაც დახურული იყო.

— მომცეს.—მოწყვეტილათ მიუგო ფატიმ, გაუშვია დედას კონვერტი და იქვე დაეშვა სკამზე.

— აბა, დაჯექით, დაჯექით, სადილი გქამოთ, თან გადაწყვიტოთ, ყველაფერზე საქირო რა არის ახლა ჩვენთვის, რომ მოვანხაროთ ეს ფულები.— გამოაცხადა დედამ და სუფრას მიუჯდა.


მერცხლებივით მხიარულათ შემოუსხდნენ ბესო და გიგუცი სუფრას.

— დედა!— მოფერებით დაიწყო ბესომ და თხოვნით მიაპყრო დედას თვალები.—მე და გიგუცის რამდენი გვერგება მანდედან?

— მასხარა! თქვენ რა უნდა გერგოთ? თქვენი რგება არ იქნება, ფეხსაცმელებს რომ გიყიდით? აგერ-აგერ თითებს გამოაპყობთ მაგ ფეხსაცმელებში!

— კი, მაგრამ... ახლა ხომ ჩვენც დიდი კაცები ვართ, მარტო ამხანაგების გერცხვენია, ჯიბეში რომ არაოდეს თითო კაპიკი ფული არა გვაქვს...

— ვაი, ჩემ დიდ კაცებს დაენაცვლა მათი უბედური დედა!— სიყვარულით წაილაპარაკა ელისაბედმა და ისეთმა უსაზღვრო გრძნობამ, ისეთმა სიყვარულმა გადაასხვაფერა უცებ მისი გამხმარი, ჩაშავებული სახე, გააბრწყინა მისი ჩაცვინული თვალები, რომ ფატიმ სევდიანათ ჰკითხა თავის-თავს:



ნუ თუ მარტო ისინი უყვარს ადამიანს, ვინც მის უზედურებას არ თანაუგრძნობს, ვინც მარტო თავის თავზე ჰფიქრობს, ვინც მეტ ტანჯვას აყენებსო? მისთვის არაოდეს არ შემოუხედნია ასეთი სიყვარულით დედას, მისი სახელის ხსენებზე დედის სახე ასეარაოდეს არ გაბრწყინებულა...

— კი, დედა, ჩემო, ჩემო დედიკო! — შეეხვეწა გიგუცი და დედას გულზე მიეკრა.

დედამ ფატის შეხედა.

— ფატი, შენ რამდენი გჭირდება ამ ფულიდან? — ნელი ხმით ჰკითხა მან.

— არაფერი! — თავ აუღებლათ უბასუხა ფატიმ.

— ნუ თუ ყველაფერი გაქვს, არაფერი არა გაქვს საყიდელი?

— არაფერი. — იმავე კილოთი, ისევ თავ-აუღებლათ უბასუხა ფატიმ. არაფერი! ბევრი, ბევრი რამ ეჭირვებოდა, მაგრამ ყველაფრის ყიდვა ამ ათი მანეთით კი არა, სამი, ხუთი, ათი ამდენითაც არ მოხერხდებოდა... მაშ ღირდა რისამე ყიდვა? არა, არა, მას არაფრის ხალისი არა აქვს, არაფერი არ უნდა, არაფერს არ ითხოვს, ოღონდ თავი დაანებონ, ნუ აწუხებენ, ნუ ელაპარაკებიან...

— თითო აბაზი გეყოფათ? — ღიმილით შიუბრუნდა დედა ვაჟებს.


— დედა, მანეთი, მანეთი, ორივეს ერთათ ერთი მანეთი! — ერთ ხმათ შეევედრენ შვილები. თითქო ძალდატანებული ღიმილით მიუბრუნდა დედა ფატის. — მივცე მანეთი? ეკითხებოდნენ შვილს მისი ჩავარდნილი, ჩაღრმავებული თვალები.

ფატი სულ ისევ ისე თავჩაღუნული დაჩერებოდა თავის საინს და ჩანგლით საკმელს ჰქექდა. თვალწინ ეხატებოდა თავისი სიბავშვე, ის დრო, როცა ისიც ბესოს და გიგუცის ტოლა იყო; ის არაოდეს არ ყოფილა მათსავით უზრუნველი, მათსავით მზიარული; ჯერ მათი ხნისაც არ იყო, რომ ტანში და რბილში ის აზრი ჰქონდა გამჯდარი, ძმების სარჩენათ უნდა ვიმუშაო, კურსი მალე დავამთავრო და რამე საქმეში ჩავებაო... მას არაოდეს არ გამოუცდია ისეთი ბავშური ბედნიერება, როგორიც ახლა ბესოს და გიგუცის სახეზე იხატებოდა, ბესოს და გიგუცის, რომლებიც აღტაცებით ათვალთვლებდნენ დედის მიცემულ მანეთიან ქალღალს, მათ საკუთარ სიმდიდრეს... ნეტავი იმას, ვისაც ყოველთვის თავისიანებზე ფიქრი არ აწუხებს, ვისაც შეუძლია მარტო თავის თავზე იფიქროს... ფატი კი... ფატი თავის ასე უფერულათ

მიმავალ სიახალგაზდავუზეგულის კვნესით ჰფიქრობს ხოლმე, მაგრამ რომ უთხრან, შენ ბედნიერი იქნები, შენი დედა და ძმები კი იმავე მდგომარეობაში დარჩებიან, როგორშიაც ახლა არიანო, არ დათანხმდები...

ელ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

საისტორიო-საარქეოლოგიურ და საგეოგრაფიულ-საეტიმოლოგიურ

ეოგეო-თვითური სურათებისა და უწყნაღა

„მოგზაურკი“

მომავალ 1901 წლის იანვრიდან, მთავრობის ნება-დართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით, გამოვა ქართული ახალი ჟურნალი „მოგზაური“. ჟურნალს მიზნათ აქვს ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენი ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაშთი, საგანი და პირი. გარდა ამისა, ჟურნალი ადგილს მისცემს თავის ფურცლებზე სასაქართველოს და მისს ნაწილთა და მკვიდრთა შესახებ ყოველგვარ სტატიებს, მოთხრობებს, პოემებს, ლექსებს, გარდმოცემებსა და ზღაპრებს ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ შინაარსისას.

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოთ, ხოლო შემდეგი ყოველ თვის პირველ რიცხვებში, ორ ბეჭდურ თაბახამდის (64 გვ.) და ელირება წლით 5 მანეთი, ნახევარი წლით — 3 მანეთი. რადგანაც გამოცემა ასეთი სპეციალური ჟურნალისა იაფათ არ დაჯდება, ვთხოვთ ჩვენი წარსულის და ქვეყნის მოყვარეთ დაგვეხმარონ ამ ახალ საქმეში ხელის-მოწერით და და შესაფერი სტატიების და სურათებს ამ გამოგზავნით. ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: ВЪ Тифлисъ, въ редакцію „Морзაური“.

ტფილისში მცხოვრებთაგან ხელის-მოწერა მიიღება წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების და ი. იმედაშვილის წიგნების მაღაზიებში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, შუადღის სამ საათზე, ბაქრაძის სახლებში № 20, დავითის ვიწრო ქუჩაზე. (3—1)

თხზულება გ. წერეთლისა.

ჩვენი ძველი გმირები

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.